ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

1929 სახელგამი № 23

კომკავშირელების მოგზავრობა პიონერ-სამუშაოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ორგანიზაციაზე კომკავშირის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით გადაწყვეტილია 1200 საუკეთესო კომკავშირელის გადასროლა პიონერ-მუშაობაზე. განაწილება ასეთია:

1. ტფილისი	200 კაცი	8. აბარისტანი	80 კაცი
2. ქუთაისი	150 „	9. სენაკი	55 „
3. აფხაზეთი	130 „	10. ოზურგეთი	55 „
4. კახეთი	125 „	11. ახალქალაქი	30 „
5. გორი	115 „	12. ახალციხე	30 „
6. სამხ. ოსეთი	100 „	13 ფოთი	20 „
7. ზუგდიდი	90 „	14. სვანეთი	20 „
		სულ	**1200 კაცი**

ამხ. პიონერებო! ჩვენი ჟურნალის „პიონერი“-ს რაოდენობა 1500 ცალამდე აღწევს. უახლოესი თვეების ამოცანაა მისი რაოდენობა 5000 ცალამდე ავიყვანოთ. ადგილობრივმა პ|ორგანიზაციებმა ურთიერთ შორის უნდა გამოაცხადონ სოციალისტური შეჯიბრი „პიონერი“-ს გავრცელების საქმეში.

შინაარსი.

	გვ.
1. პატაკი ტ. ო. პიონერებისა საქ. პიონერ-მუშაკთა მე-5 რესპუბლიკანურ თათბირს	1.
2. მეტი ყურადღება ბოლშევიკ-ლენინელების მესამე თაობის კომუნისტ. აღზრდის საქმეს **კ. ბეჩვაიასი**	2.
3. როგორი გვინდა იყოს საზოგადოება „ბავშთა მეგობარი“ — **მ. ელიჯარაშვილის**	4.
4. პიონერ-ხელმძღვანელების რესპუბლიკანური შეკრება — **მ. კოლიუნის**	5.
5. შურისძიება კოლექტივზე, — **ნადია გორდაძის**	6.
6. მამის ხსოვნა, — ლექსი **შ. შაველაშვილის**	8.
7. პირველი სადილი, — **ლ. ჭიჭინაძის**	9.
8. ცინკოგრაფიაში, — **ნ. კ—ის**	12
9. პროპაგანდისტები, — ლექსი **ირ. აბაშიძის**	13.
10. ჯემს კუკის ცხოვრება და თავგადასავალი, — თარგმანი **ნ. ნ. მამადაშვილის**	14.
11. სოფლად პიონერული რადიო-ლაშქრობის შესახებ	18.
12. ქიმიის საოცრებანი, — **პ. ლ—ნის**—გარეკანის მესამე და მეოთხე გვერდზე.	

329.153 (05)
Ж-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

15 დეკემბერი
№ 23
წელიწადი მეოთხე
1929

პიონერი

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

კ. ბეჩვაიას, ვ. ლუარსამიძის, ალიო მაშაშვილის, ნ. მაისურაძის და შოთაშვილის რედაქციით

პატაკი

ტფილისის ორგანიზაციის „26"-ის სახელოგის რაიონის პიონერებისაგან საქართველოს პიონერ-მუშაკთა მეხუთე რესპუბლიკანურ თათბირს

საქართველოს პიონერ-მუშაკთა მეოთხე რესპუბლიკანურმა თათბირმა ყველა პიონერორგანიზაციას მებრძოლ ამოცანად დაუყენა მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლის საკითხი, პიონერმუშაობის გადახალისების საკითხი, გამოდიოდა რა ბავშვების გაზრდილ მოთხოვნილებათა და ინტერესებიდან.

ხელმძღვანელობდა რა ზემოაღნიშნული ამოცანებით, ტფილისის ორგანიზაციის „26" კომუნარის სახელობის რაიონის პიონერორგანიზაციამ შემდეგი შეასრულა:

1. ყველა კოლექტივი გადავიდა მუშაობის ახალ სისტემაზე და მუშაობას ახალი სახე აქვს.

2. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განმტკიცების საქმეში პიონერებმა კონკრეტული მონაწილეობა მიიღეს: ინდუსტრიალიზაციის მესამე ხესხს ხელი მოაწერეს 3 500 მანეთის რაოდენობით.

3. წერაკითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ხაზით რაიონულ სკოლებში 1 300 უცოდინარს ვასწავლით, რომელნიც განსაკუთრებით პიონერებმა აიყვანეს ალრიცხვაზე. მშობელთათვის მოწყობილია 5 წრე.

4. რაიონში ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერების მიზნით ჩავატარეთ ულმერთო ნორჩ პიონერთა პირველი კონფერენცია და შევუდექით წრეების მოწყობას.

5. პიონერთა შრომის დარგში მოწყობილია: ორი საზეინკლო — მექანიკური სახელოსნო, 10 სადურგლო, საამკინძაო — 20, ლობზიკზე მომუშავეთა წრე — 35, რადიო-წრე — 20, ფოტო-წრე — 5, ჩემოდნების სახელოსნო — 5, ბრა-კერვის — 35, ჩარჩოების — 3,

6. ნაკლთა გამომყენებლობის მიზნით კოლექტივებში მოწყობილია „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფები — 4-ნ ჯგუფი; რაიბიუროსთან — 20 ჯგუფი „მსუბუქი კავალერიის", რომელიც აერთიანებს 100 კაცს.

7. რაიპიონერორგანიზაციამ შეაგროვა 7 000 კილოგრამი შავი ლითონი, ქაღალდის მაკულატურა — 3 200 კილოგრამი.

8. მოსავლის ლაშქრობისათვის მოეწყო და გაიგზავნა სოფლად 7 პიონერ-ბრიგადა.

9. სოციალისტური შეჯიბრის ხაზით კოლექტივი და სკოლა ერთიერთმანეთს ეჯიბრება. შეჯიბრის ძირითადი საკითხია: ბრძოლა ორწლიანობის და გაცდენის წინააღმდეგ, სწავლის გაუმჯობესება, პიონერ-მუშაობის შესრულება, ბავშთა ახალი კადრების პიონერ-ორგანიზაციაში შემოყვანა ღ. სხვ.

10. საქ. პიონერ-მუშაკთა მეოთხე თათბირიდან მეხუთემდე ჩამოვაყალიბეთ 12 კოლექტივი 900 ბავშით, კოლექტივში მიღებულია 600 ბავში.

მეტი ყურადღება ბოლშევიკ—ლენინელეგის მესამე თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს

საქ. ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე ამხ. კ. ბეჩვაია

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, საბჭოთა ქვეყნის ჩქარი ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პირობებში მესამე თაობის ბოლშევიკური აღზრდის საკითხს განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა; კლასობრივი ბრძოლა პიონერმოძრაობასაც ეხება.

კლასობრივი მტერი თავისი ბავშების საშვალებით აწარმოებს ჩვენთან აქტიურ ბრძოლას მოზარდ თაობაზე გავლენისათვის, ცდილობს რა გახრწნას და დაშალოს პიონერული რიგები.

წარმატებითი მუშაობა ბავშთა მასების ბ. კ. ო. რიგებში შემოსაყვანად და მათი აღზრდა **კლასობრივი სიძულვილის საფუძველზე და ყველა უცხო ინტერესებისადმი და ამ ინტერესების გამოხატულებისადმი შეურიგებლობის აღზრდა-განვითარება** ორგანიზაციის მუშაობის შინაარსზეა დამოკიდებული.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ისეთი მდგომარეობა იყო, როცა პიონერ-მუშაობის შინაარსი არ შეესაბამებოდა ბავშთა მასების ძირითად ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, რის გამოც კოლექტივები იშლებოდა, ბავშები ორგანიზაციიდან გადიოდენ და სხვ. ეს პერიოდი უკვე დაძლეულია კავშირის მიერ მიღებულ გადამჭრელ ღონისძიებათა გამო. პიონერ-ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი გაუმჯობესდა ახალ სისტემაზე გადასვლის გამო. შეკრებების და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების ჩატარებამ გამოიწვია ჩვენი ორგანიზაციების ზრდის ტემპის აჩქარებაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელის გაბედულობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ პიონერ-ორგანიზაციის ყველა რგოლში არ ჩანს მუშაობის შინაარსის და ფორმების გაუმჯობესების ხაზით გარდატეხა. პიონერ-მუშაკებს ხშირად არ შეუძლიათ ბავშების ინიციატივის გამოყენება და სოციალისტურ მშენებლობაში კონკრეტული მონაწილეობის მისაღებად მისთვის სათანადო მიმართულების მიცემა.

მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას პარტიისა და კომკავშირის ყოველი უჯრედის წინაშე ხელმძღვანელთა შემოწმების საკითხი. ამ საქმეს უნდა მიეცეს ძალზე სერიოზული მნიშვნელობა და მივიღოთ პრაქტიკული ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ სათანადოდ გამოვარკვიოთ, თუ ვინ ხელმძღვანელობს ჩვენს რაზმებს. ზოგიერთი ფაქტი ლაპარაკობს, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ხელმძღვანელთა შემადგენლობის 4% უპარტიოებისაგან შესდგება. ეს გარემოება ხასგასმით მოწმობს, თუ როგორი ყურადღება ჰქონდა მიქცეული კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელთა შერჩევას. შემოწმებასთან დაკავშირებით მკაცრად უნდა დაისვას კომკავშირის საუკეთესო ძალების მობილიზაციის საკითხი, ქვედა ორგანიზაციებისთვის მათგან დახმარების გაწევის მიზნით; მუშათა ბრიგადების სახით ისინი შემოწმების წარმატებით ჩასატარებლად უნდა გაიგზავნონ.

ის ორგანიზაციები, რომელნიც არ მიიღებენ მონაწილეობას ენერგიულ ზომებს ამ საქმის დასახმარებლად და არ გააძლიერებენ თავის ყურადღებას ბ. კ. ო. პარტიული მუშაობისადმი, უნდა გამოყვანილ იქნენ პროლეტარულ, საბჭოთა საზოგადოებრივობის მკაცრი სასამართლოს წინაშე. საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დღემდე საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება არ ყოფილა უშუალოდ დაინტერესებული ბავშების კომუნისტური აღზრდით. აი ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ამას მოწმობს: პიონერ-მუშაკთა უკანასკნელ რესპუბლიკანურ თათბირზე არ იყვნენ და არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ჯანმრთელობის, განსახკომის, „ბავშთა მეგობრის“ საზოგადოების წარმომადგენლებს და მთელ რიგ დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ფაქტია ისიც, რომ ბევრი კოლექტივი მუშაობს სარდაფებში და გამოუსადეგარ ბინაზე; ნორჩ მაყურებელთა ერთადერთი თეატრი, მიუხედავად ც. ბ. და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ ღონისძიებათა, დღემდე ჯერ კიდევ სარდაფშია ჩა

კეტილი. მთელი რიგი ფაქტებია, რომ საბავშო სახლებში, სკოლებში თვითკრიტიკას ახორციელებენ. მრავალი სხვა მოვლენაც ადასტურებს, რომ დღემდე ზოგიერთი ორგანიზაცია და საბჭოთა საზოგადოებრივობა არ გრძნობს პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდის საქმეში. მომავალში ამის მოთმენა შეუძლებელია. საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის უახლოეს წელში ორჯერ გაზრდის ამოცანა მოითხოვს, როგორც არასოდეს, მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ნამდვილ გარდატეხას—ბ. კ. ო. მუშაობაში ყოველდღიური პრაქტიკული მონაწილეობის ხაზით.

აღნიშნული მდგომარეობა ნაწილობრივ აიხსნება კომკავშირის და პარტიის ზოგიერთი უჯრედებისა და კომიტეტების არასერიოზული დამოკიდებულებით ბავშთა კომმოძრაობის კონკრეტული ამოცანების შესრულებაში საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩამბის საქმეში, აგრეთვე იმით, რომ მათ არ ეხერხებათ ამ ამოცანების ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრივობის დარაზმვა.

ზოგიერთი კომკავშირული უჯრედი და აგრეთვე კომიტეტიც არ აფასებს პიონერ-მოძრაობის მუშაობას და მას მეათე ადგილზე აყენებს. ხშირად პიონერული საკითხები კომკავშირის და პარტიულ კომიტეტებში მექანიკურად ტარდება, დაუმუშავებლად. ამ მდგომარეობის გამოსწორება პრაქტიკულად მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, თუ მოკლე ხანში ყოველ კოლექტივთან ქალაქად და სოფლად მოეწყობა დამხმარე რაზმები მუშებისა, თანაც ამ საქმეში უნდა ჩავაბათ სპეციალისტები, მშრომელი გლეხობა, განსაკუთრებით კი ბატრაკები და ღარიბები, და აგრეთვე ცალკეული კონკრეტული საქმეების მოყვარული და ორგანიზატორი კომკავშირელები.

უახლოეს პერიოდში უნდა ჩავატაროთ 1200 საუკეთესო აქტიური კომკავშირელის მობილიზაცია და კიდეც მოვამზადოთ ისინი. საჭიროა მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მასიური ინიციატივის გაშლა პიონერ-კოლექტივებში შრომითი და ტექნიკური ჩვევების სათანადოდ მოგვარებაში ხელის შეწყობად.

ჩვენ გვჯერა, რომ პროფორგანიზაციები დაგვეხმარებიან ამ ღონისძიებათა გატარების საქმეში, ჩვენ გვჯერა, რომ ურთიერთშორის კაპიტალისტური შეჯიბრის წესით ჩვენთან მოვლენ დახმარების გასაწევად აგრონომები, ექიმები, ინჟენრები, ტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები, რომ ბავშების კულტურული მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ.

უკანასკნელი და გადამწყვეტი მომენტი კი არის — კლიშე უზრუნველყოფილ იქნეს პიონერ-მოძრაობა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სათანადო ხელმძღვანელობით.

კ. ბეჩვაია.

საქართველოს პიონერ-მუშაკთა მე-5 რესპუბლიკანური თათბირი

როგორი გვინდა იყოს საზოგადოება „ბავშთა მეგობარი“

(საქ. პიონერ-მუშაკთა მე-5 რესპუბლიკანური თათბირის დადგენილების თანახმად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ორგანიზაციას დღეს ისე სჭირდება, როგორც არასოდეს, ყველას და ყოველმხრივი დახმარება. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მას ახლა გადააქვს მთელი თავისი მუშაობა ახალ ლიანდაგზე, ძირიან-ფესვიანად იცვლება როგორც მისი მუშაობის შინაარსი, ისე ფორმები და მეთოდები. მისი საფუძველი და უახლოესი ამოცანა ახლა არის ჩაბმა ბავშთა ორგანიზაციებისა საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა შექმნაში, ბავშთა აქტივობის, ყოველდღიურად რომ იზრდება და მატულობს, სწორი აღრიცხვა, გამოყენება და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

მეორე ის, რომ საერთო კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით გაძლიერდა იერიში მომავალი თაობის დასაპყრობად. ჩვენი მტრები არ ერიდებიან არავითარ საშუალებას თავისი მიზნის მისაღწევად. აი ორი პატარა მაგალითი: ერთ-ერთ სოფელში (კახეთის ოლქი, ვარდისუბანი) მღვდელმა გამოაცხო ქადები და დაუძახა პიონერებს ეკლესიაში. „გულკეთილმა მასპინძელმა“ მარტო იმიტომ კი არ შეიტყუა პიონერები ეკლესიაში, რომ ქადები მიერთმია მათთვის, იქ პატარა საუბარიც ჩაუტარა „ანტირელიგიურ“ თემაზე. მეორე სოფელში ორმა კულაკმა მღვდლის დახმარებით მოაწყო გუნდი, რომლის მეცადინეობის დროს ტარდებოდა „პოლიტ-საათი“ ზოგიერთი საკითხის შესახებ.

მესამე იქნება ის, რომ პიონერთა შეკრებების, ბანაკების და სხვათა ჩატარებამ გამოიწვია ბავშების ლტოლვა პიონერ-ორგანიზაციისაკენ. ზოგიერთ კოლექტივში 150-200 პიონერი ირიცხება. „მინდა დავაარსო ბაზა, თორემ კოლექტივში აღარ მეტევიან“—ლაპარაკობენ კოლექტივის ხელმძღვანელები. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ საფრთხის წინაშე ვდგავართ.

ბავშები მოდიან, მაგრამ შევძლებთ თუ არა მათ დაინტერესებას, ჩაბმას მუშაობაში, ორგანიზაციაში გაჩერებას? პარტიის და კომკავშირის მიერ მიღებული ღონისძიებანი (ხელმძღვანელთა გადასინჯვა, კურსების მოწყობა და სხვა და სხვ.), თუმცა უზრუნველყოფენ, მაგრამ ჯერჯერობით ეს საფრთხე მაინც არსებობს.

იმყოფება რა ამისთანა მდგომარეობაში, ბ. კ. ო. და ბავშთა მოსახლეობა მოითხოვს ყურადღებას და პრაქტიკული დახმარების გაძლიერებას როგორც პარტიის და კომკავშირის, ისე მთელ საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ, რომელთა პირველ რიგშიც უნდა იდგეს „ბავშთა მეგობარი“-ს საზოგადოება. არის ეს ასე თუ არა? ყველა, ვინც კი იცნობს ამ საზოგადოებას, იტყვის, რომ არა. მაშ რას აკეთებს ეს საზოგადოება? პასუხამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საზოგადოებანი სხვადასხვა სახელწოდებით არსებობენ მხოლოდ ტფილისში, ქუთაისში, ახალციხეში და ფოთში. მათი მუშაობის მიზანი აქამდე იყო ბრძოლა ბავშთა უპატრონობის წინააღმდეგ. ამ მიზნით მათ აქვთ თითო-ოროლა საბავშო სახლი და რამდენსამე ბავშს აძლევენ პენსიას. განა ეს უპატრონობასთან ბრძოლაა? ახალციხის საბჭომ გროშებით მოგროვილი ფულები როიალს ჩააყარა და ისიც მილიციის უფროსს დაუდგა (ალბათ ისიც უპატრონოა!). ავიღოთ მათი უჯრედების მდგომარეობა. ღებულობენ ყველას, მიუხედავად ასაკისა, მდგომარეობისა და სხვა, ოღონდ წიგნაკი გაასაღონ. ამას მოჰყვება ის შედეგი, რომ უჯრედები მოსწყდენ მასებს, დაარსებისთანავე იშლებიან.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, პარტიამ დაადგინა ამ საზოგადოების მუშაობა შეიცვალოს ისე, რომ მარტო ორიოდე საბავშო სახლის შენახვით კი არ განისაზღვრებოდეს, არამედ ის გახდეს ცენტრალურ დამხმარე ორგანოდ ბავშთა დაცვასა და აღზრდაში, სახელდობრ, უმთავრეს მის მოვალეობას უნდა შეადგენდეს შემდეგი: უახლოესი დახმარება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს ბავშთა ჯანმრთელობის და შრომის დაცვის საკითხებში, მათ განათლებაში, მობილიზაცია მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღებისა პიონერ-მოძრაობის ირგვლივ და მათი ჩაბმა უკანასკნელისთვის პრაქტიკულ დახმარებაში, ბრძოლა არა მარტო ბავშთა უპატრონობის წინააღმდეგ, არამედ მისი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგაც, გამოცემა საბავშო წიგნების, კინო-ფილმების, დახმარება და დაარსება მოზარდ მაყურებელთა თეატრების და სხვა.

ასე სთქვეს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა და ა/კავ. საოლქო კომიტეტებმა თავის დადგენილებებში, ასე სთქვა საქ. კ. პ (ბ) ც. კ. და ასე სთქვა მეხუთე თათბირმა. მან მოიწონა და სრულიად შეუერთდა პარტიის დადგენილებებს ამ საკითხზე და დაავალა საქ. კომკავშირის ყველა ორგანიზაციას საჩქაროდ მოჰკიდონ ხელი ამ საკითხის განხორციელებას, დაამუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი, მოიწვიონ თათბირები, ჩაატარონ საორგანიზაციო მუშაობა და ეს ყოველივე 15 იანვრამდე, იმ მოსაზრებით, რომ სრულიად საქართველოს ყრილობა საზოგადოების წევრებისა ჩატარდეს არა უგვიანეს თებერვლისა.

ასეთია, ამხანაგო პიონერებო და მოწაფენო, თათბირის დადგენილებანი ამ საკითხზე.

რას გავალებთ თქვენ ამ დადგენილებებიდან?

თქვენ გევალებათ სამი უმთავრესი რამ:

1. მიიღოთ აქტიური მონაწილეობა ამ საკითხისათვის საზოგადოებრივი ყურადღების დაპყრობაში (წერა გაზეთებში, გამოსვლა მათ საანგარიშო კრებებზე და ისე კრებებზე ამ საკითხების ირგვლივ, აგიტაცია მშობლებში და სხვა).

2. ჩამოყალიბების დროს და შემდეგაც ჩაეწეროთ ყველანი „ბავშთა მეგობრის“ წევრებად და

3. ადევნოთ თვალ-ყური მის მუშაობას, დაეხმაროთ მას ყველაფრით, რითაც კი შეგიძლიათ, და ამუღავნოთ მუშაობის ყოველგვარი ნაკლი.

მიხეილ ელიჯარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ხელმძღვანელების რესპუბლიკანური შემოწმება

(საქ. პიონერ-მუშაკთა მე-5 რესპუბლიკანურ თათბირზე ამხ. მ. კულიუხის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან)

დელეგატი გორიდან
ამხ. გეორქოვა

პიონერ-ხელმძღვანელთა შემადგენლობა უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო უარესდება; ასე, მაგალითად, მთელ საბჭოთა კავშირში 26 წელს უპარტიო ხელმძღვანელები 0,2% შეადგენდენ, ახლა—0,9%. საქართველოს ორგანიზაციამ ამ მხრივ საკავშირო რეკორდი დააყარა—4% უპარტიო ხელმძღვანელები. ხელმძღვანელთა შემადგენლობის გაუარესებას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ თუ 1928 წელს საქართველოში ხელმძღვანელთა შემადგენლობაში ჩვენ მუშები 10% გვყავდა, წელს—მხოლოდ 7,9%, ე. ი. მათი რიცხვი შემცირდა 2,1%-ით. ასეთივე შემცირება მოხდა მოჯამაგირეების და გლეხების ხარჯზე, მაშინ, როდესაც „სხვათა“ პროცენტი საგრძნობლად გაიზარდა. გარდა ამისა და ხელმძღვანელთა პოლიტმომზადების გაუარესებისა, ჩვენ ვამჩნევთ ხელმძღვანელთა ხშირ ცვლას, რის გამოც წინ ვწევთ შემთხვევით ელემენტს, ამის გამო კი ხელმძღვანელი ვერ ასწრებს მიიღოს საჭირო პრაქტიკა და გამოცდილება, და პიონერ-კოლექტივების მუშაობა სუსტდება.

ხელმძღვანელთა მომზადება ცუდადაა დაყენებული; საზოგადოებრივობა, და განსაკუთრებით კი განათლების განყოფილების და განსახკომის ორგანოები, საქმეში განზეა გამდგარი და სისტემატიურად ამ საკითხით არაა დაინტერესებული.

დელეგატი სვანეთიდან
ამხ. ფილფანი

ხელმძღვანელთა კადრების ასეთმა სავალალო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენმა პარტიამ მისცა დირექტივი კომკავშირს — **ჩაატაროს ხელმძღვანელთა საკავშირო გასინჯვა და პიონერ-მუშაობისათვის ჩაატაროს 50 000 კომკავშირელის მობილიზაცია.**

საქართველოს კომკავშირი უკვე შეუდგა ამ დავალების პრაქტიკულ შესრულებას და ატარებს ხელმძღვანელთა გასინჯვას. გარდა ამისა, ატარებს 1200 საუკეთესო, აქტიური კომკავშირელის მობილიზაციას, რაც უნდა დასრულდეს 1930 წლის 15 იანვრისათვის.

პიონერ-ხელმძღვანელთა მთელი შემადგენლობის შემოწმება ისე უნდა იქნეს ჩატარებული, რომ, უპირველეს ყოვლისა, შემოწმებულ იქნეს კოლექტივის მუშაობა იმ ხაზით, თუ კოლექტივი და ხელმძღვანელი რამდენად ნამდვილად აწარმოებენ მუშაობას სოციალისტური აღმშენებლობის და ხუთწლიანი გეგმის აქტიურ მონაწილეთა კომუნისტურად აღსაზრდელად, თუ რამდენად ნამდვილად იზრდებიან კომუნისტური სულისკვეთების მქონე ახალი ადამიანები, ახალი შემცვლელნი და, ბოლოს, თუ რამდენად შეუძლია ხელმძღვანელს ზუსტად გაატაროს კავშირის კლასიური ხაზი და რამდენად სწორად მოჰყავს მოძრაობაში ბავშთა თვითმოქმედება და ინიციატივა.

დელეგატი ახალციხიდან
ამხ. ვართანოვი

შემოწმებამ უნდა გაათავისუფლოს ხელმძღვანელთა რიგები იდეოლოგიურად მერყევი ელემენტებისაგან, ზარმაცებისაგან, ფორმალისტებისაგან, ჩინოვნიკებისაგან, პოლიტიკურად მოუმზადებლებისაგან და უპარტიოებისაგან. მთელი ეს ნაგავი მალე უნდა მოვიშოროთ და შევცვალოთ წარმოებაში ჩაბმული კომკავშირელების საუკეთესო ახალი კადრებით — ახალგაზრდა მოჯამაგირეებით და უღარიბესი გლეხებით, რომელნიც ნამდვილად იქნებიან შემოწმებულნი კომკავშირის აქტიურ სამუშაოზე. შემოწმება უნდა შეეხოს აგრეთვე რაიბიუროების პიონერ-მუშაკების შემადგენლობასაც.

შემოწმების ჩატარება და კომკავშირელების პიონერ-მუშაობაზე მობილიზაცია მოგვცემს შესაძლებლობას საგრძნობლად გავაძლიეროთ პიონერ-ორგანიზაციის ზრდის ტემპი, რომ მიმდინარე თვეებში გავაუმჯობესოთ პიონერ-მუშაობის შინაარსი (ახალ სისტემაზე გადასვლის საფუძველზე) და ფართოდ ჩავაბათ ბავშები და პიონერები სოციალისტურ აღმშენებლობაში და ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ჩვენი ამოცანაა: მივმართოთ კომკავშირის და პიონერ-კოლექტივების დაუშრეტელი ენერგია ბ. კ. ო. რიგების ასი პროცენტით გაზრდისაკენ უახლოეს წელში.

დელეგატი ოსეთიდან
ამხ. გაბაევი

დელეგატი ქუთაისიდან
ამხ. მინაშვილი

დელეგატი აჭარისტანიდან
ამხ. შარაშიძე

დელეგატი ახალქალაქიდან
ამხ. აბრამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲖᲔ

Ა

ზამთრის სუსხიანი დღეა. თბილი სახლიდან გარეთ გამოსვლა ყველას ეძნელება.

სოფელში სიწყნარეა, რასაც არღვევს ზოგჯერ გამოფხიზლებული ძაღლების ყეფა და წყლის დასალევად გამოშვებული საქონლის ბღავილი.

დღის თორმეტი საათია. თოვა შესწყდა, ჰაერი შეთბა და არემარე თეთრ საბანშია გახვეული. ხმაურობაა ეზოებში, სიცილი, კისკისი, რომელიც შედეგად მოჰყვა გამალებულ გუნდაობას.

კომკავშირელი სიკოს ეზო თავის მახლობელ ეზოებთან შედარებით ამ დროის ტარებას მოკლებულია, რადგან აქ, ამ სახლში, დღეს განსაკუთრებული სტუმრებია, რომელთაც გადასაჭრელი აქვთ ფრიად საინტერესო საკითხი. დიდი ხნის თათბირის შემდეგ დაიწყო თანამომხსენებელმა: მაშ ასე მოვიქცეთ, ხომ, ამხანაგებო, როგორც ჩვენმა მომხსენებელმა გაგვაცნო. პირველად ჩვენ, რიცხვით თხუთმეტმა კაცმა, დავაარსოთ კოლექტივი და მაგალითი ვუჩვენოთ ჩვენს უპარტიო გლეხობას, თუ როგორ შეგვიძლია ერთსულოვნად მუშაობა და ან რა უპირატესობა ექნება ჩვენს მეურნეობას მათ მეურნეობასთან შედარებით. ჩვენ, ამხანაგებო, რომ კოლექტივში კარგად ვიმუშავებთ, იმის იმედი მაქვს, რადგან არცერთი ჩვენგანი ვაჭარი ან კულაკი არ არის, ან მალალი წრის ოჯახიდან გამოსული. ყველანი უღარიბესი გლეხები ვართ. მხოლოდ არ შეგეშინდესთ, ამხანაგებო, იმის, თითქოს აქ თქვენ მეტი მუშაობა დაგჭირდებათ. არა, ამხანაგებო, ეს შემცდარი აზრი იქნება, პირიქით, ჩვენ მთავრობა გამოგვიგზავნის ტრაქტორს, სათეს მანქანას, სათოხნ მანქანას და ყველა იმ იარაღს, რაც ჩვენი მეურნეობისთვის საჭირო იქნება. მართალია, ამხანაგებო, იქნება რომელიმე თქვენთაგანმა იფიქროს მეც ვიშოვი მანქანების საქირავებელ ფულს და რაღა კოლექტივში შევიდე წევრადო. მაგრამ, ამხანაგებო, ეს იქნება ყალბი მოსაზრება, რადგან მანქანებს მთავრობა ინდივიდუალურ მეურნეობებს აქირავებს ან ფულად ან ნატურის სახით და თქვენ, ამხანაგებო, თქვენს პატარა მიწის ნაჭერზე მოსული ნატურით გადაიხდით მის საფასურს, მხოლოდ მოგება აღარაფერი დაგრჩებათ, მეორეც — ტრაქტორს ესაჭიროება გაშლილი მინდორი, რომ თავისუფლად იმუშაოს და არა თქვენი პატარ-პატარა კავის სამოძრაო მიწის ნაკვეთები, მთავარი კი რაც არის, ეს თქვენც კარგად იცით: კოლექტივიზმში არის ერთიანი შრომის მეტი ნაყოფიერება და კოლექტივიზმით ჩვენ ძირს ვუმაგრებთ სოციალიზმს.

მაშ, ამხანაგებო, გაუმარჯოს კომინტერს, გაუმარჯოს კოლექტივიზმს! (ტაში).

— ამხანაგო თავმჯდომარე!

თავმჯდომარე: — მოითმინე, ამხანაგო! სიჩუმე, ამხანაგებო. შეკითხვები ან სიტყვა თუ ვისმეს გინდათ? შეკითხვა არავის აქვს. მაშ სიტყვა ვის უნდა? შენ.

— ამხანაგებო! ამხ. მომხსენებელმა გაგვაცნო ყოველივე, რაც საჭიროა და სასურველი იყო ჩვენს ცხოვრებაში. მე ფიცს ვსდებ მთელი ამხანაგების სახელით ამ კრების წინაშე, რომ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ და სანატრელი იქნება ჩვენი მეურნეობა კოლექტივის გარეშე მყოფი ყველა გლეხისათვის! (ტაში).

Ბ

აპრილის მზიანი დღეა. ყინვისაგან გათოშილ მიწას ორთქლი ასდის და შიშველ ფეხს საშინლად სწვავს ადამიანს. საფრთხილოა ამ დროს ფეხშიშველა სიარული, რადგან მრავალი ავადმყოფობა ვრცელდება. „ნორჩი კოლექტივის“ მინდვრიდან ძლიერი ხმაურობა მოისმის. ტრაქტორის გუგუნი სულ იკლებს არემარეს. ადგილობრივი გლეხობა თავის სამუშაოს სტოვებს და ტრაქტორის სანახავად მიდის. კოლექტივის წევრები კი მოუსვენრად არიან, ხან ჩალის ძირებს კრეფენ და ხან სარეველა მცენარეებს სთხრიან და სხვა. მალე ხმელბალახიანი მინდორი გადაშავდა. ტრაქტორის ნაკვალები ზოლებად აჩნია დასაწყისიდან ბოლომდე.

გავიდა რამდენიმე ხანი. „ნორჩი კოლექტივის“ ყანა თავისი სიკარგით თითით საჩვენებელი და სანატრელი შეიქნა ადგილობრივი გლეხობისათვის. შიგ მომუშავე წევრები აღფრთოვანებული სიმღერა-კიჟინით ირთობდენ თავს ყანაში. ამის გამო ზოგიერთი მავნე ელემენტი შურით ივსებოდა, რომელთა შორის პირველი გაბრო იყო. გაბრო სოფელში კულაკად ითვლებოდა და, რაღა თქმა უნდა, ის კოლმეურნეობას ხელს დაუშლიდა. გაბრო ყოველ წუთს იმის ფიქრში იყო, თუ კოლექტივის ღირსება როგორ დაემცირებია ხალხში, როგორ გაებრაზებია კოლექტივში შემავალი პირები.

ერთ დღეს ის გზაზე მოდიოდა, როდესაც სიკოიამ კოლექტივის ყანიდან ჭყინტი ტარო გადმოიტანა, ეს იმ დროს, როდესაც დანარჩენების სიმინდსა ჯერ ქუნცუროც არ ამოელო. გაბროს სისხლი აემღვრა, ყელში მოაწვა და მეტის-მეტი სიბრაზისაგან შეჰყვირა: „ჰოი, შე ციგანო, მაგას რას მოესწრო მამაშენის შვილი, რომ ხელში ამ დროს ჭყინტი სიმინდი გიჭირავს“. სიკოიამ ყური არ ათხოვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი გზა განაგრძო. გაბრო არ დრკებოდა და ფეხდაფეხ მისდევდა.

— ნეტავი ყრუ ხომ არ არის ეს ოჯახდაქცეული! ეი, შენ, არ გესმის? ლაჩარო, ნეტავ ვაჟკაცი მაინც იყო, რომ რიგიანად გცემო. ოი, შე წკვინტიანო, შენა!

— კაცო, რა გინდა ჩემგან, ბოლოს და ბოლოს აღარ დამანებებ თავს? მე ჩემს გზაზე მივდივარ და თავს აღარ დამანებებ?

— ჰმუ, რა მინდა? რა მინდა და მამაშენის დაფხრეწილი შავი ჩოხა! ის მინდა, რომ ხალხის გარყვნისათვის, მაგ კოლექტივის დაარსებისათვის სასტიკად მიგბეგვავ.

— გაბრო, თუ თავი არა გაქვს გაწირული, ნუ მომდევ უკან. მე შენისთანებთან სალაპარაკოდ არ მცალია.

— ჰო, ჰო, ვიცი, ვიცი, ძლივსღა გამოიძღე კუჭი და ახლა ამას გაიძახი „შენისთანებს აღარ ველაპარაკებიო“.

ამ დროს ვილაცამ ძლიერად დაახველა. გაბრო ინსტინქტურად შეკრთა და ცდილობდა დაბრკოლებიდან თავი დაეღწია, რომ მოესმა:

— სიკოია, აქ მო, თავი დაანებე მაგ მუქთახორას!

გაბრო ამის გაგონებაზე ცეცხლივით აენთო და ხმამაღლა შესძახა:

— ოი, თქვე კომწომოლებო, თქვენა!

ორივე ერთად გამოდით, აბა ვინ აჯობებს, ვნახოთ.

— ჰეე, კარგია, გაბრო! რატომ არ გრცხვენია? მე კიდევ ჰო, საჩხუბრად რომ მიწვევ, მაგრამ სიკოია ხომ შვილიშვილად შეგფერის, ჯერ კიდევ ბავშია. წადი, ახლავე დაიკარგე! შენ მგონი ჭკუა დაკარგე და რაღა პასუხი და ზრდილობა უნდა მოგთხოვო.

ნიკოიას შეყვირებაზე გაბრო შეშინდა, თანაც ატყობდა, რომ თავისი შხამიანი სიტყვების რახარუხით ვერაფერს გააწყობდა. უცბად გაბრაზებული მიბრუნდა უკან და სასწრაფოდ გაეშურა ყანისკენ ძიმავალ გზაზე, სიკოია კი საშინელი ამღვრეული თვალებით და ზიზღით შესცქეროდა მიმავალ გაბროს.

— ოხ, ნიკოია, ნეტავი ასეთი საზიზღარი, გველი კაცი თუ კიდევ ცხოვრობს ჩვენს საბჭოთა კავშირში. ბოლოს და ბოლოს ყველაფერს და ყოველთვის აღარ მოვუთმენ, მოვკლავ, სინდისს გეფიცები.

— დაჩუმდი, სიკოია, შენ არ შეგშვენის ასეთი ლაპარაკი. დაანებე თავი მაგ გაიძვერა კაცს. ხომ იცი, თავისი ყბედობით ჩვენს პარტიულ წრეში ვერაფერს გააწყობს...

კომკავშირელი ქალი საქსოვ მანქანასთან

— კაცო, შენი სიტყვებიც მაკვირვებს: როგორ თუ ვერაფერს გააწყობს? ხომ იცი, ჩვენ უპარტიო გლეხები გყავს და ამდენ მაგის რჩევა-დარიგებას შესაძლებელია ყური დაუგდონ.

— ეხ, თუ ძმა ხარ, ყველამ კარგად იცის, რა შვილიც ბრძანდება. თუ მაგისი სიტყვა სჯერათ, რატომ თვითონვე გამოუცხადეს ამასწინათ ერთი თვის ბოიკოტი? მაგრამ მაგის გასწორება არ მოხერხდა; ხომ გაგიგონია, „კუზიანს სამარე გაასწორებსო“, მაგასაც ეგრე მოუვა.

— საქმეც ის არის, ჩემო ნიკოია, რომ ჩვენ სამარემდე უნდა გავასწოროთ, თუ პარტიული ხაზი გვინდა გავატაროთ ცხოვრებაში.

კარგი, ახლა გვეყოფა იმ უმსგავსოზე ლაპარაკი. წადი შინ და საღამოთი მაგ ტარო სიმინდი გადმოიტანე სამკითხველოში და გლეხებს ვუჩვენოთ.

— მაშ ცოტა კიდევ დაიცადე, სანამ ის მუქთახორა გაბრო გაძოიცლიდეს, თორემ თქვენ კიდევ დაიწყებთ ჩხუბს აქ.

3

გაბრო საჩქაროდ მივიდა მწყემს ბავშვთან, ცემა-ტყეპით ძიჭყარ-ოჭყოა გვეოდხე და ისლად რაძდეხიძე სული საქონელი მეოკა კოლექტივს ყახაძი. ბავშეს გაბრო გა იქეუ[illegible] კოოაათ და ძ[illegible]შიხებულები აქთ-იქით ჩაიალეა [illegible]. დამშეუ[illegible]ძა საქონელძა ძადია�დაუწყო [illegible] და მტვრევა ნორჩ ყლორტ-ტოოიან სიეიადს. დიდ განსაცდელშია კოლექტივის ყანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა რამდენიმე ხანი. ბავშები გამოვიდენ შიშის ბურუსიდან, ერთ-ერთი ბავში გაგზავნეს კოლექტივის უფროს ნიკოიასთან ამბის შესატყობინებლად.

რადგან გაბროს უკან აღარ გამოიარა, სიკოია წამოდგა და გაეშურა ყანისაკენ. შუა გზა არ ჰქონდა გავლილი, როდესაც შემოხვდა არჩილი და სასწრაფოდ უთხრა, თუ რა სჭირდა კოლექტივის ყანას.

სიკოიამ ნიკოიასთან გამოაგზავნა ბავში და თვითონ სირბილით მიირბინა ყანაში. მისვლისთანავე საშინელი სურათი დაინახა, რამაც გული შეუღონა. სიკოიამ დაუწყო სასწრაფოდ საქონელს გადმოდენა. არცერთი ხმამაღლად არ დაუყვირია, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ გაბრო ვერ იფიქრებდა სიკოიას იქ ყოფნას და თვითონ გაუფრთხილებლად იქნებოდა. მართლაც, საქონელი, რომ ერთი თავიდან აჩანაგებდა ყველაფერს, გაბრო მეორე თავში ჩეხავდა ნამგლით სიმინდს.

ამ დროს ყვირილ ის ხმა მოისმა: ,,დავიღუპეთ, ბიჭო სიკოია!'' სიკო სასწრაფოდ გაეშურა ყანის კარისაკენ, რომ მყვირალი ნიკო გაეჩუმებია.

— გაჩუმდი, ნიკო, იქნებ გაბრო აქ იყოს სადმე და დავიჭიროთ.

— ოი, მაგის სული! სად არის, უნდა მოვკლა, ცოცხალს არ გავუშვებ!

— სუ, თუ ძმა ხარ, ეს ერთი დამიჯერე.

დიდი წვალების შემდეგ საქონელი ძლივს გადადენეს ყანიდან. ამასობაში კიდეც შებინდდა, მაგრამ გაბროს ეს არ უგრძვნია, რადგან მუშაობაში იყო გართული.

სიკომ და ნიკომ მოისურვეს ყანის მთლიანად დავლა. სიარულის დროს სიკოს რაღაც ჩახა-ჩუხი შემოესმა; მან იფიქრა, საქონელი დაგვრჩენია ალბათ, მაგრამ იმ თავიდან აქამდე როგორ წამოვიდა. ეს აზრი გაუზიარა ნიკოს და ორივემ ფრთხილად ჩქარი ნაბიჯით გასწიეს იმ ადგილისაკენ. უცბად თვალი მოჰკრეს მამაკაცს, რომელიც გაჩქარებით აფენდა აჭრილ სიმინდს მიწაზე. სიკოიამ და ნიკომ ველარ მოითმინეს და ორივენი ერთად წასწვდენ მას კისერში. ის იყო სასიკოცხლოდ აღარ სტოვებდენ, რომ სიკომ აზრი ატანა და ხელი გაუშვა, ნიკოსაც ხელი გააშვებინა. გაბროს თვალები სისხლით დასიებოდა და ენას არ სძრავდა.

— ოხ, გველო! გველი ხარ, გაბრო, და გველურად ჩაგაძაღლებ. რა ჰქენი ეს? განა ამას ჭკვათამყოფელი ჩაიდენდა?

— ასე, ასე, მაშ როგორ გგონიათ, ტკბილად შეგრჩებოდათ ჩემი წანართმევი მიწები?

— ახლა რაც გაქვს, ის არ გყოფნის? ისიც მეტი დაგიტოვეთ და აწ კი ჩვენ ვიცით.

— თქვენ იცით და ასე გაგამწარებთ, ოხრებო.

— გაბრო, გაჩუმდი, სისხლს ნუ ამომასხმევინებ პირიდან და სასირცხვოდ თავს ნუ მომაკვლევინებ ამ ყანაში!—უთხრა ნიკომ, სიკო კი თვალებს ხუჭავდა სიბრაზით და არ იცოდა, როდის გამასპინძლებოდა მსხვერპლს.

— ჰა, ამაზე მეტს რაღას მიზამთ? გამატყავეთ მიწებიდან. ასე გაწვალებთ მუდამ.

— ჰე, შე ძაღლო, შენა, კიდევ იტიკტიკე! და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნიკომ სილა გააწნა ლოყაზე, სიკომ კი შემოიძრო წელზე ქამარი და ხელები შეუკრა გაბროს. გაბრო უშვერი სიტყვებით აგინებდა მათ, მაგრამ პატიოსან შრომას და მოსაზრებას ჩვეული მუშაკები ყურადღებას არ აქცევდენ მას.

ბნელ ღამეში საყანე გზაზე მიმავალთა ხმაური არღვევდა ღამის მყუდროებას. გაბრო, გათამამებული იმით, რომ სიკო და ნიკოია მასზე სასიკვდილოდ ხელს არ შეისვრიდენ, საშინლად ყბედობდა ხელებშეკრული.

ღამის ათი საათი იყო, როდესაც თემკომის საპატიმროში შეამწყვდიეს ბოროტი კულაკი. თემკომში მყოფი გლეხობა საშინლად ღელავდა მისი მოქმედებით და თითქმის საპატიმროში შეცვენას უპირებდენ მოსაკლავად. მეორე დღეს ადგილობრივმა გლეხებმა შესიფერისი განაჩენი გამოუტანეს მას.

ნადია გორდაძე

მამის ხსოვნა

როცა სიკვდილი მოგიახლოვდა,
ძვირფასო მამა, შენ მარიგებდი:
„შვილო, შრომასთან იყავ ახლო და
ყოველთვის საქმეს უდექი გვერდით.
ქარხნის გუგუნი გინთებდეს ხალისს,
საბჭოთა მიწა დაიცავ მტკიცედ,
რომ დედამიწა სისხლით ნაბანი
დიადი შრომის სამეფოდ იქცეს!..“
სიკვდილმა მეტი აღარ გაცალა,
მკერდის სუნთქვის დროს გაჩერდა სიტყვა,
მაგრამ გულიდან ამოვარდნილი
შენი მიზნები უხმოდაც ითქვა!..
ძვირფასო მამა! გულანთებული,
ბრძოლების გზაზე გავინავარდებ
და, როგორც ერთი თავდადებული
მე, პიონერი, ხანძარს ავანთებ!
ლენინის დროშას მკერდით დავიცავ,
ჩვენი ცხოვრება სისხლის ზოლია,
გვიყვარს ქარხნები, და სიყვარული
გულის სიღრმეში თან ჩაგვყოლია.
ველური მთები ცეცხლით ანთია,
მსუყე მადანი მოგვაქვს ზოდებად,
ჩვენი ცხოვრება განთიადია,
ჩვენი ცხოვრება არ იზომება!..
სოფლის ველებზე კავების ნაცვლად
დღეს ტრაქტორები მიარღვევს ყამირს,
და კოლექტიურ შრომით წინ წასვლა
გულქვა ბობოლას მიწას მიაყრის.
ქალაქში ქარხნებს გააქვს გრიალი,
ინდუსტრიალურ ცხოვრებას ვზიდავთ,
წითელი დროშის მაღლით ფრიალი
გულს ანდამატურ ძალით იზიდავს!..
მამიკო, მინდა შენს მოგონებით
ნორჩი გულიდან ცეცხლმა იალოს,
და დედამიწის ხუთ მეექვსედზეც
ახალ ბრძოლებმა დაიგრიალოს!..

შალვა შაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სადილი

— ეგ არის თქვენი სინიდისი?! — გაჯავრებული ხმით გადმოსძახა პატარა გორაკიდან ყაფლამ გვარამაძემ იმ გლეხს, რომელსაც ხარები გაება და მიწასა ხნავდა ჭალაში. გლეხი მხიარული იყო და კავს მარდად მისდევდა. როცა ნაპირს მიაღწევდა, ხარებს „მეიშოს“ ძახილით მობრუნებას ანიშნებდა. მაგრამ სანამ ხარები კვალს ჩაუდგებოდენ, მანამ ნიკიფორე სა'შვალოზე მაღალი ხმით კიდეც ჩაიმღერებდა ხოლმე:

აქ მოდი კაი ყანაო,
ჯალამი გაიპარაო.

ნიკიფორემ ხმა გაიგონა. მიიხედ-მოიხედა, ხელი თვალებზე იჩრდილა და საიდანაც ხმა მოესმა, იქით გაიხედა.

— დიახ, ჩვენი სინიდისი ასეთია. ვინც თავის მიწას ვერ მოერევა, ის მიწა ჩვენ უნდა დავამუშაოთ; ჩვენ ცოლ'შვილს ჭაბა-სმა უნდა და მიტომ. — ასე უპასუხა ნიკიფორემ ყაფლამ გვაოაძაძეს და ისევ თავისებური სიმაოდით მისდევდა კავს. გრძელ კომ'შის სახრეს დროგამოშვებით თითქოს საალერსოდ 'შემოუქნევდა ხოლმე ხარებს.

ყაფლამს მეტი გზა აღარ ჰქონდა, უკან უნდა გაბრუნებულიყო და მხვნელისათვის თვალი აერიდებია. ყაფლამმა თვალები დააჭყიტა და მეხრეს არ აცილებდა, ბრაზმოსულმა მუშტი მკერდზე დაიცა და ასე ჩაილაპარაკა: — ჰაი, რა დრო მქოხდა, შენისთანა მშივრები მაგას გამიბედავდენ? რავა წავაგდებიებდი თავს!

ამ სიტყვებს რომ ლაპარაკობდა ყაფლამ გვარამაძე, მაშინ გაშტერებული იდგა და მოგონება ცხადი ეგონა. უცბად გაიძრო ხანჯალი და ნამყეხ ვა'მლის ხეს გაუქნია, რომელიც შუა ადგილზე გადაჭრა. ხანჯალი ხელ'ში ეკავა ისევ და აქეთ-იქით ირწეოდა, თითქოს დიდი საცოდაობა მოახდინა. ცოტა ხნის შემდეგ გამოერკვა, ხანჯალი ქარქაშში ჩააგო, ნაღვლიანად გაიღიმა და თანაც წყნარი ხმით წაილაპარაკა: — აი, დალახვროს ჩემმა გაძჩენმა!

ყაფლამი გაბოროტებული გადაუყვა მაღლობს. ნიკიფორეს კი აქეთ-იქით სამზერად არა სცალია და გაფაციცებით მიჰყვებ-მოჰყვება ხარებს.

— გამაოჯობა, ნიკიფორე!

— სევასტის გაუმარჯოს.

— ბიჭო, გვალული ხომ არაა შენი საყანე?

— ვითამ წეიგვალულენ, მარა არა უშავს. სწორედ რომ დროზე მოვუსწარი, თვარა ორი დღის შემდეგ აძას ველარ მოეკარებოდა კაცი სახნავად.

— აგრე, ძმაო, აგრე დავუყენოთ თვალები იმ ძველ ძაღლთაპირებს. თუთუნი ხო არ გაქ, ბიჭო?

— კი მაქვს მგონია.

ხარებს დაუყვავა.

მერე უკან დაახევინა და ულელი წაუკვეთა. ხარები დადგენ თავისუფლად და მაშინვე დაიწყეს ცოხნა. თვითონ ნიკიფორე და სევასტი ურძისაკენ წავიდენ, რომელიც იქვე იყო ნაყანებში დაყენებული. ახალოხი გადმოიღო ურძიდან და მარჯვენა ჯიბიდან თუთუნიანი ქისა ამოიღო. სევასტის კი ქაღალდის ნახევი ეკავა ხელში თამბაქოს გასახვევად.

საუბრობდენ წყნარად.

პაპიროსები გაიკეთეს, თითოჯერ გააბოლეს და თავ-თავიანთ საქმეზე წავიდ-წამოვიდენ. ნიკიფორე ცოტა ხნის შემდეგ ისევ კავს მისდევდა თავისებური სიმარდით.

წელს იგი ძალზე მხიარულია. რასაც დაიმუშავებს, ყველაფერი მას ეკუთვნის. წინად კი ასე არ იყო. სხვის ყანაში უნდა ემუშავნა დილიდან საღამომდე, კვირიდან კვირადმე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე და მოსავალი ნახევარი შინ უნდა მიეტანა და მეორე ნახევარი ყანის პატრონისთვის უნდა მიერთმია.

ის დღეს იმიტომ არის მხიარული, რომ მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა და ცხოვრების ტვირთი შეუმსუბუქდა. საუბრის დროს, არის თუ არ არის საჭირო, მაინც ყველგან ასე ამბობს ხოლმე:

— ვენაცვალე იმ რევოლუციას, რაცხა რევოლუციამ იმ მემამულეების მძიმე უღელი მოგვაშორა კისერზე. უბედურ დროში ვცხოვრობდით, ან ჩვენ თავს ვერ ვირჩენდით, ანდა ბობოლა მემამულეებს ვერ ვინახავდით თავიანთი ავან-ჩავანით. ეჰ, ჯანი გავარდეს, ამას ხომ მოვესწარი და შემდეგისთვის კიდევ გაგვიკვლევენ გზას, თუ საით სჯობს წასვლა.

* * *

— სად ბრძანდებოდი, ბატონო ყაფლამ?

— ჩემს მამულში ვიყავი. — უპასუხა ნაღვლიანად.

— კიდევ კარგი, რომ მამული გქონია. — უთხრა ეშმაკურად.

ყაფლამმა მძიმედ ამოისუნთქა, გრძელი ცხვირის ბიბილოზე ხელი მიისვ-მოისვა.

— ეჰ...

ამოიოხრა ყაფლამმა მძიმედ.

— თუ ჩამივარდენ ხელში, კარგია და...

— მოვითმინოთ, საქმე არც აგრეა, მაგათ რომ ჰგონიათ. ისეთი სიზმარი ვნახე, რომ მაგათ გარეკავენ აქედან.

— რავა, ხომ არაფერი გაგიგია, ელიზბარ? — ყურებდაცქვეტით ჰკითხა ყაფლამმა.

— ჰო, არის აქეთ-იქით ლაპარაკი. ასე რომ წავლიან.

— რაიო, ისინი მოდიანო!?

ელიზბარმა ეს სიტყვები იმიტომ სთქვა, რომ ყაფლამისათვის გული გაეხარებია. ის კი ჩასციებია როგორმე დაწვრილებით გააგებინოს ამბავი. ელიზბარმა ისევ რამე უნდა გამოძეძნოს, რომ მას ეს ახირებული საკითხი დაავიწყებინოს.

— სუუ, ყაფლამ, გაჩუმდი.

ყაფლამი შეკრთა და წყნარად ჰკითხა:

— რა ამბავია?

— სუ, ილარიონი მოდის.

შემდეგ საუბარი სხვა საგანზე დიაწყეს, რომ ილარიონს ეჭვი არ აეღო.

— ბეჩა, ყაფლამ, ამ წყალმა ეს ორი წელიწადია დიდი ზარალი მოგვაყენა. აი, გახედე, რა ვენახიანი ადგილები წაიღო. დიდი ზარალია, დიდი.

ყაფლამს სხვისი ზარალი არაფრად აფიქრებდა, ის თავის საქმეზე ფიქრობდა. სახეზე აენთო. ყელში მომდგარი სიტყვების თქმა არ უნდოდა, მაგრამ მოთმინება აღარ ეყო და ილარიონთან სთქვა ის, რის თქმაც, მათი აზრით, იმასთან არ შეიძლებოდა.

— ეგ წყალია, არაფერი ეძრახვის, მაგრამ ჩვენზე, ადამიანებზე, რაღა ითქმის, რომლებსაც ერთმანეთისთვის ხელი წაგვიჭირებია ყელში და ვახრჩობთ. თუ ერთს რამე აქვს, ართმევენ. ეს სამართლიანია?

— ყაფლამ, როგორ გაცხარებული ლაპარაკობ. ეგ როგორ გეკადრება, — დინჯად უთხრა ილარიონმა.

— ბოშო, ნუ იკადრებ ახლა, თუ ღმერთი გწამს.

ელიზბარი ყაფლამს გვერდში მიუდგა და ხელით ანიშნებდა გაჩუმებულიყო, მაგრამ ყაფლამის აღელვებული ნერვები ისე ადვილი დასაშოშმინებელიც არ ყოფილა.

— ორიოდე საჟენი მიწა მქონდა და ისიც ნიკიფორეს ჩააბარეთ. იმ კაცს გაუხსნია გული და ქე მუშაობს, შენმა ყაფლამმა ასე უნდა იაროს კუდამოძუებულმა.

— როგორ, ნიკიფორე ახლა იქ მუშაობს?

— მუშაობს და რაფერ, ნეტა შეგახედვა.

— თუ კი მუშაობს, აბა ჩვენ არ გადავმცდარვართ, კარგი კაცისთვის მიგვიცია.

— ყმაწვილო, მიწას თუ კი მომცემ, მე ნაკლებად ვიმუშავებ თუ. წადი ახლა და ელაპარაკე ამას.

— შენ, ყაფლამ, არასოდეს არ დაგიმუშავებია ის ყანა, მაგრამ ახლა ძალიან ცხარობ. შენ იმდენი გაქვს კიდევ მიწები, რომ, თუ იმუშავებ, ყველაფერი ბევრი გექნება, თუ არა და დღეს ზედმეტია შენი გაცხარება. ახლა შრომის ხანაა. ვინც იშრომებს, მას ყველაფერი ექნება და ვინც არა, — თავისუფალია.

ელიზბარმა კიდევ მაგრად დასწია ჩოხის კალთას, და მერე გაჩუმდა, მიხვდა.

ძალზე გაჯავრებული ყაფლამი კანკალებდა. ასე გულმოსული განშორდა მათ. ელიზბარი ილარიონს გამოელაპარაკა.

— მაგ უბედურმა ლაპარაკი იცის აგრე, თუ არა ისე კი არაფერი შეუძლია.

— ვიცი, ვის რა შეუძლია, — უთხრა ილარიონმა.

ელიზბარი გამოეშვიდობა ილარიონს, გაუღიმა, თეთრი კბილი უჩვენა და სირბილით გაექანა ყაფლამის მისაწევნად.

იქვე მალე მოეწია.

ელიზბარი დაბალი ხმით ელაპარაკებოდა, ყაფლამი კი უფრო გაცხარებული უპასუხებდა და ნელა მიაბიჯებდენ მდინარის ნაპირზე მიმავალი ვიწრო ბილიკით. ანკარა მდინარე ქვებზე სწრაფად მიჩხრიალობდა. იმ ადგილზე საღამოობით ადამიანი თუ გაივლის, მის ყურადღებას ის ანკარა მდინარე უსათუოდ მიიქცევს. ყაფლამი იმ ადგილზე როცა გაივლიდა ხოლმე წინად, აუცილებლად წყალში გადაიხედავდა, კისერს თევზიჭერიასავით წაიგრძელებდა, ფეხაკრეფით მდინარეზე გადადგებოდა და თვალებდაკუსული ათვალიერებდა თევზებს. ნასამხრევს ბადით შემოუყვებოდა მდინარეს. ასეთი იყო მისი საქმიანობა გაზაფხულზე, ზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთარში. ყოველი დროისთვის სპეციალური ბადე ჰქონდა, ახლა კი თავჩაღუნული მიდის, ხმასაც არ იღებს, მხოლოდ ელიზბარი არა სწყვეტს საუბარს.

— აგრე როდი ვარგა, კაცო. სჯობია წყნარად იყო კაცი, მაგრამ გულში უნდა გქონდეს ეს უბედურება ჩამარხული, თორემ ამნაირი სიტყვა-პასუხით ვერაფერს გახდები. ისე უნდა გაჩუმდე, თითქოს არც კი გწყინს შენი მიწების ჩამორთმევა, გულით კი მოწადინებული უნდა იქნე, რომ მაგათი საწინააღმდეგო საქმე გააკეთო.

— კი, მაგრამ როდემდე უნდა ვიყო გაჩუმებული?

— აბა, ძძაო, სიმართლე რომ სთქვას კაცმა, ახლა მაგათი ჭამის დროა, დღემდე ხომ ჩვენ ვიყავით. ახლა მაინც და მაინც დიდად არ გვაწუხებენ.

— აჰაა, მოგწამლეს?— ქვეშ-ქვეშ გახედა ყაფლამმა და ეშმაკურად გაიღიმა.

— როგორ თუ მომწამლეს?!

— ჰო, ჰო, აღარ უნდა ლაპარაკი, მოწამლული ხარ.

* * *

სადილობის დრომ მოაწია.

ნიკიფორე ისევ ხნავს, ხანდახან, დროგამოშვებით, გადახედავს თავის ნამუშევარს მხიარული თვალებით. ახლა ილარიონიც მიუახლოვდა, რომელმაც ეს ადგილი მიუზომა, მაგრამ ვერ შენიშნა, სანამ ახლოს არ მივიდა.

ალბათ ფიქრებში იყო გართული და მისი ბრალია.

— დაასვენე, კაცო, ეგ ხარები.

ნიკიფორემ შეხედა და სიცილით უპასუხა:

— მე და ჩემი ხარები სულ დასვენებული ვართ. ჩვენ რა მოგვეალავს, შრომისთვის ვართ გაჩენილი და კიდეც ვშრომობთ. ასე უნდა თუ არა, შენ რას იტყვი, ილარიონ. სწორი ვარ, არა?

— მართალი ხარ, ძმაო, მართალი. — ხალისიანად უთხრა ილარიონმა.

— სად იყავი, კაცო!

— აგერ ვენახები ვნახე, მაგრამ რა გითხრა, იცი? იმუშავე ძალიან, თორემ ამ ადგილის პატრონები ისე არიან შემოჩენილი, რომ ცუდად წავა საქმე.

— რაფერ ცუდად, კაცო.

— ასე ცუდად, რომ იტყვიან: ზარმაცებს ჩაუყარეს ჩვენი ქონება ხელშიო.

— ეე, მოგცლია ერთი შენც. დარდი ნუ გაქვს. მე თუ ზარმაცი ვარ, მაშინ ყოველი კაცი ზარმაცი ყოფილა და რაღა ითქმის.

— ეს ამდენი მიწა დღეს დახანი?

ნიკიფორემ დოინჯი შემოიყარა. ჯერ ნახნავს გადახედა და მერე ხარებზე შეაჩერა მზერა.

— იფ, ვენაცვალე ჩემ ხარებს! დღეს დავხანი, აბა. სხვის ყანებში მუშაობით წელი მქონდა მოწყვეტილი ჩემი ხარებიანად და რაღაი ამას მოვესწარი, ამ ბედხიერ დღეს ახლა, შე კაცო, ბარაქა, თუ სადმე რჯულობაა, მექნება, აბა რა იქნება.

ასეთ საუბარში იყვნენ გართული, რომ ნიკიფორეს ცოლს სადილი მოჰქონდა ყანაში. მარცხენა მკლავზე კალათა წამოეცო, მარჯვენა ხელში ხელადა ეკავა, თავი თეთრი თავსაფრით წაეკრა და ისე მიდიოდა ნიკიფორესთან.

— აჰა, სადილიც მოდის.

ეს სიტყვები სთქვა და თან ილარიონს სადილზე ეპატიჟებოდა. ილარიონს კი სხვა რაზე აწუხებდა: ჯერ არ უხდოდა გაემჟღავნებია, მაგრამ მოუთმენლობის გამო მაინც შეეკითხა ნიკიფორეს.

— წარმოიდგინე, რომ უცბად დაიძახეს: აბა, კოლექტიურ მეურნეობას მოკიდეთ ხელიო; მაშინ რას იზამ, შეუერთდები მათ სურვილს, თუ გახზე გაუდგები?

— ძეც მაგის ძოძხრე ვარ, თუ გინდა ამ წუთშივე, სადაც მეტყვით, იქ წავალ.

ილარიონს ხალისი ეტეტა.

მიხვდა, რომ ლარიბ გლეხობაში არ ყოფილა მაგრად ფესვებგადგმული კერძო საკუთრება და ნიკიფორეს ამნაირმა გატაცებამ ის კიდევ უფრო გაახარა და კიდევ უფრო მეტ წასათამამებელ სიტყვებს ეუბნებოდა.

— ბოშო, მაგ მუსაიფით გინდა ეს ყანა დახნა? — სიცილით უთხრა ცოლმა და მერე სალამი მისცა ილარიონს.

— რავა, ქალო, ცოტა დამიხნავს ამისთანა ყანები?!!

— სადილს ხომ ბიერთმევ?

— სწორედ სადილს ველოდი ახლა. მოდი, ილარიონ, ვისადილოთ.

— გმადლობთ, მეჩქარება.

— ეჰ, შე კაცო...

— არა, დიდად გმადლობთ.

— აბა ერთი ჭიქა ღვინო მაინც დალიე.

ხელზე მიაწოდა ღვინო მარინემ. ერთი ჭიქა გადაკრა და შინ გასწია. ნიკიფორე თავისი ცოლით ურემთან მივიდა, დასხდენ სადილად და თანაც ტკბილი საუბარი გააბეს. ეს იყო ნიკიფორეს პირველი სადილი ყანაში, როცა მას ყახის მეპატრონე თავზე აღარ წამოდგომია და მის წინაშე ნიკიფორე არ გაწითლებულა. ნასადილევს ცოლს უთხრა:

— აქიდანვე უნდა მოვამზადოთ ნიადაგი მომავლისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა ასეთი სადილი ერთად მიირთვან.

ლავრ. ჭიჭინაძე.

ბავშვი ლიტავი

პიონერებო, დააკვირდით, რომელი წევს კარგად!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

ამ დღეებში ამხ. ვასილმა, „კონდუიტის“ ავტორმა (რასაც თქვენ ალბათ წაიკითხავდით), მკითხა:

— როგორც ამბობენ, თქვენ იცით, როგორ აკეთებენ კლიშეს, რომლისგანაც ბეჭდავენ ილუსტრაციებს წიგნებში. მომიყევით, როგორ არის ეს.

ეტყობა, მათ პოკროვსკის გიმნაზიაში ეს არ უსწავლიათ. კითხვაზე გადავწყვიტე „პიონერის“ ფურცლებზე მეპასუხნა. ხომ ყველა მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ როგორ აკეთებენ კლიშეს, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებისთვის, რომლების სურათებიც დაიბეჭდა ჟურნალში კონკურსის დროს.

წავიდეთ ცინკოგრაფიაში და გზაში ვიმუსაიფოთ.

პირველ ყოვლისა საჭიროა იცოდეთ, რომ ყველა კლიშე როდი კეთდება ცინკოგრაფიაში. კლიშე კეთდება სპილენძზე, ფოლადზე, ხეზე, რეზინაზე, სანთელზე და სხვა. მაგრამ ის კლიშე, რომლისგანაც იბეჭდება სურათები „პიონერის“ ფურცლებზე, ცინკზე კეთდება, რის გამოც მას ეწოდება ცინკის კლიშე, ხოლო იმ ადგილს, სადაც მას ამზადებენ, ცინკოგრაფია ჰქვიან. სხვა სახის კლიშეების შესახებ, ე. ი. არაცინკოგრაფიულზე, შემდეგ მოგელაპარაკებით, თუ თქვენთვის სასურველი იქნება.

თქვენ ალბათ ხშირად სადმე ბაღის სკამებზე ან ხის კანზე გინახავთ დანით ამოჭრილი სიტყვები: „აქ ისხდენ კოლია, ს. ივანოვი, ლუბა“ და სხ. შესაძლებელია თქვენ თვითონ სჭრიდით და ახდენდით კალმის დანას და სკოლის მერხს, მაგრამ არც კი მოგსვლიათ აზრად, თუ კლიშეს აკეთებდით. თუ მერხზე ასეთს ამოჭრილს დავფარავთ შავი საღებავით და ვინმე მასზე დაჯდება, როდესაც ადგება, დავინახავთ ანაბეჭდს, სადაც შავ ფონზე გამოიყოფა მერხის წარწერები. ყოველ ისეთ დაფას, რომლისგანაც იბეჭდება სურათი, კლიშე ეწოდება. მაგრამ თუ გვინდა მივიღოთ ჩვენი გვარი და სახელი თეთრ ფონზე შავი ასოებით, უნდა ამოვჭრათ ხე ასოების გარშემო და დავტოვებთ ამობურთულ ასოებს. ასეა გაკეთებული მაგ რეზინის საბეჭდავები (რომელიც წარმოადგენს კლიშის სახეობას). ასეთი ამობურთულებით კლიშე გვევლინება საბეჭდავად, რომლითაც კონვერტებზე მარკებს ვასვამთ ბეჭედს.

თუ მოგვცემენ რომელიმე სურათს და გვეტყვიან გააკეთე ამავე ორიგინალისგან კლიშე ცინკზეო, მაშინ როგორ მოვიქცეთ?

ჩვენ შეგვიძლია გადმოვხატოთ ეს სურათი ცინკის ფირფიტაზე და შემდეგ კი მოვჭრათ ყველა ზედმეტი ადგილი, ძხოლოდ დავტოვებთ სურათის ხაზებს.

მაგრამ როგორც გინდა მოინდომოთ, კარგად ვერ გადახატავთ ხელით სურათს და დანით ცინკის ამოჭრა კი მეტად ძნელია. გაცილებით უფრო ხელსაყრელია ფოტოგრაფიული გადაღება ორიგინალისა, რის შემდეგ გადაიღება მიღებული ნეგატივი ცინკზე. ზედმეტი ადგილები უნდა ამოვწძინდოთ აზოტის ან მარილის სიმჟავით, რომელშიაც ცინკი იხსნება. ასე მუშაობენ ცინკოგრაფიაში, სადაც ჩვენ მოვედით.

***

აი, ფოტოგრაფიული განყოფილება. როგორც ხედავთ, აქ დგას დიდრონი ფოტოაპარატები, რომელთა საშუალებით შეგვიძლია გაზეთის სიდიდის სურათის გადაღება. მაგიდაზე დგას ბოთლები ყოველგვარი ქიმიური ხსნარებით, ფირფიტები ნეგატივისათვის, ყველგან ძევს ორიგინალები, ე. ი. ნეგატივები და ფოტოგრაფიები, რომლებიც უნდა გადავიღოთ კლიშეს დასამზადებლად ორიგინალები სხვადასხვა გვარისაა. იმ ორიგინალების გადაღება და კლიშეს დამზადება, რომლებიც დახატულია შავი ტუშით, ხაზებით, ადვილია. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ეს ფოტოსურათები ფუნჯითაა დახატული? აქ სიშავე ყველგან ერთნაირი არ არის, ზოგან ღია ფერისაა, ზოგან ბნელი. ნახატი შესდგება ნახევარტონებისაგან. დიდი ხანია გამოარკვიეს, რომ ასეთი ნახევარტონების მიღება შეიძლება პატარა შავი წერტილებისაგან; იქ, სადაც წერტილები მსხვილია და ხშირადაა, ბნელი იქნება, და სადაც წერტილები ნაკლებადაა და წვრილია — უფრო ნათელი. მაგ. სცადეთ თვითონ ბევრი წერტილის დასმა და ადვილად დაინახავთ, თუ მათგან როგორ გამოისახება ნახევარტონი. ნახევარტონის ორიგინალები გადაიღება განსაკუთრებული ბადის საშუალებით, რომელიც ჰყოფს ორიგინალს სხვადასხვა წერტილად.

ასეთ კლიშებს ბადე ეწოდება.

შეხედეთ ახლა ამ ჟურნალის სურათს. დარწმუნებული ვარ, ადვილად განასხვავებთ, სად არის ხაზი და სად ბადე! შეხედეთ „ბადეს“ დაკვირვებით (კარგი იქნება, ლუპის საშუალებით თუ დააკვირდებით). თქვენ ყოველ შემთხვევაში შეხედავთ, რომ პატარა წერტილები ერთისადაიმავე ფერისაა, რის გამოც მივიღებთ გამოსახულებას.

— დზზ,— უცებ დაიგუგუნა ელექტრობის ფანრებმა (ვოლტას ოდრიკალი), დარაჯივით რომ დგას ფოტოაპარატის ორივე მხრიდან, და გამოშუქდა დამაბრმავებელი ლილისფერი სხივები. ეს ფოტოგრაფი ანათებს ორიგინალებს გადაღების წინ. გადაღების შემდეგ ფოტოგრაფი „კასეტით“ (ბრტყელი ყუთი, რომელშიც ფოტოფირფიტებია გადაღების დროს) წავა ბნელ ოთახში, სადაც ანათებს მკრთალი ნარინჯის ფერი ლამპა. აქ ის ასწორებს და ამაგრებს ნეგატივს, გაავლებს სხვადასხვა ხსნარში და წყალში.

გამზადებული გამშრალი ნეგატივი გადაეცემა გადამღებ განყოფილებას სადაც ჩვენ წავალთ.

აქ, როგორც პოეტები სწერენ, გამეფებულია ნახევარწყვდიადი, რომელშიც ანათებს სრიალა ცინკის ფირფიტები. მუშები ხშირად სარკის მაგივრად ხმარობდენ მას. გადამღები იღებს ასეთ ფირფიტას, ფარავს მას სხივებმგრძნობიარე ფენით, იღებს ნეგატივს, იღებს გადამღებ ჩარჩოს, იღებს... შემდეგ კი არაფერს არ იღებს, მხოლოდ მჭიდროდ დაადებს ჩარჩოიან ცინკს ნეგატივს და ანათებს ჩარჩოს ისეთივე ვოლტას ოდრიკალით, როგორიც იყო ფოტოგრაფიულ განყოფილებაში.

ელექტრობის სხივები (შეიძლება კიდევ მზის, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვისწავლია მზის ჩართვა მაშინ, როცა გვინდა), რომლებიც თავისუფლად გავლიან ნეგატივის გამჭვირვალე ადგილებში, იმოქმედებენ ცინკის სხივებმგრძნობიარე ფენაზე, რომელზედაც მიიღება ნახატი- ამნაირად ნეგატივი გადაიღება ფირფიტაზე, რომელსაც ასლი ეწოდება. არ ვიცი, თქვენ როგორ გაიგიგეთ, ჩემთვის კი გასაგებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ასლს უნდა გაწმენდა ზედმეტი ნაწილებისგან, რისთვისაც ის გადაეცემა ამომჭმელ განყოფილებას. ჩვენ არ შეგვეშინდება ასეთი საშინელი სახელის და გავყვებით მას.

აქ ასლი აიტანს ყოველგვარ წვალებას. მას აყრიან ფისის ფხვნილს (რომ დაცულ იქნეს სიმჟავის მოქმედებისაგან), სწმენდენ აზოტის და მარილის სიმჟავით, შემდეგ ახურებენ ნელ ცეცხლზე, ხელახლად წმენდენ და კიდევ ახურებენ და ასე ამნაირად მოქმედობენ მასზე მანამდე, სანამ არ გაიწმინდება ყველა ზედმეტი ადგილი და დარჩება მხოლოდ რელიეფის ხაზების სურათი. ბადისებურ ასლს ნაზად ეპყრობიან, ვინაიდან ის, როგორც ვიცით, პატარა წერტილებისაგან შესდგება, რომლებიც ადვილად ამოიჭმებიან სიმჟავეში.

ახლა ფირფიტა გაწმენდილია და კლიშეც თითქოს გაწმენდილია. ახლა რომ ავიღოთ მისგან ანაბეჭდი და ვნახოთ, დავინახავთ, რომ კიდევ არის ზედმეტი ხაზები და წერტილები, რომლებიც გამოისახებიან მუშაობის პროცესში. ასეთ კლიშეს შემკვეთი არ მიიღებს, მას კიდევ უნდა გაწმენდა, რის გამოც ცინკოგრაფიაში არიან კიდევ სპეციალურად ამისთვის დანიშნული პირები. ხედავთ, რომ ისინი სხედან ლუპით (საჭვრეტი მილი, რომელიც ადიდებს საგანს), რომელიც' თვალზე აქვთ გაკეთებული, როგორც ბინოკლი ჩემბერლენს, ანდა როგორც საათის მოხელეებს. ისინი ყურადღებით და გულდადებით უყურებენ კლიშეს და წმენდენ ზედმეტ წერტილებს, მათი ხელიდან კლიშე გამოდის გაწმენდილი და წესიერად დალაგებული, მაგრამ წიგნებში დაბეჭდვა კიდევ შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ კლიშე იბეჭდება წიგნის ყველა ტექსტთან ერთად. ვინც ყოფილა სტამბაში, უნახავს, რომ იქ წიგნები იბეჭდება გრძელი ლითონის



მონახეთ თვალი

ასოებისგან, რომლებიც ასანთის ღერზე ნაკლები არიან კლიშე თხელია. თუ ჩვენ მას ჩავსვამთ ასოების წყობაში, ის გაცილებით დაბალი იქნება ასოებზე, როგორც, მაგალითად, ბავში მაღალი ადამიანების ჯგუფში. იმისათვის, რომ ეს ბავში გავუტოლოთ ამ ხალხის სიმაღლეს, ჩვენ მას შევსვამთ სკამზე, და ამ შემთხვევაში კლიშესთვის სკამის როლს ასრულებს მუხის პატარა დაფა, რომელზეც კლიშეს ლურსმნით დავაჭედებთ. ამგვარად მიღებული კლიშე იქნება ასოების სიმაღლის. ახლა ის უკვე მთლად მზად არის.

კ. ნ.

პროპაგანდისტები

განთიადი რომ გაჩაღდა
ფერად-ფერად სხივთა ზოლით,
სოფლად გაჩნდა საიდანღაც
პიონერთა ერთი რგოლი.

იცნობენ და თემში ყველა
მოხარული დახვდა მთლიან;
ახალ საქმის წამომწყებად
პიონერთა ჯგუფებს სთვლიან.

ჰო და ახლა თემის შარას
რომ მოედო მათი წყება,
დაახვდურებმა იგრძნეს ჩქარა
ახალ საქმის წ მოწყება.

და მართლაც ხომ უსაქმურად
არ მოსულა მათგან ერთიც,
რომ სოფელში ინებივროს
ტყის სიჩუმე-სიმწვანეთი.

სიხარულით მისთვის ზრდიან
შრომის უნარს და სიჩქარეს,
რომ ხედავდენ მხნეს და ძლიერს
საბჭოების მოზარდ მხარეს.

ახლაც საქმე მოაქვთ სოფლად
საჭირო და თან საჩქარო,
რომ უმადლონ იმათს მოსვლას,
რომ გლეხებმა გაიხარონ.

აგერ-აგერ დენა იწყეს,
ხალხს არ ჰყოფნის მოთმინება
და გულღიად გაშლილ ცის ქვეშ
გაიმართა გლეხთა კრება.

ჩადგა ჯგუფი ამხანაგთა,
გივი ამბობს მხნე და ლაღი,
რომ: „გვჭირდება მანქანა და
ინდუსტრია მძიმე სახის.

მეგობრებო, ხედავთ, ჩვენთვის
სახელმწიფო ძალს არ შურავს,
რომ გავუსწროთ დასავლეთის
მრეწველობას და კულტურას.

რომ მოჰქონდეს დღეგა წყებას
ჩვენი ქვეყნის წინსვლა ცხარე,
ჩვენგან უნდა დახმარება
საბჭოების მოზარდ მხარეს“.

ერთის სიტყვით, ამ წეს-რიგით
მოჰყვა ამბავს ნება-ნება,
და მესამე სესხის ირგვლივ
გააკეთა მოხსენება.
ისაუბრეს დიდხანს ისევ,
გახალისდა ჩვენი რგოლი,
და გლეხებმა გადასწყვიტეს
დახმარება მთელი ღონით.

და სიმღერით ყველა ერთად
ეტყვის სოფელს და გლეხობას:
„გაუმარჯოს საბჭოებს და
პიონერთა მოძრაობას!“

ირაკლი აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემს კუკის ცხოვრება და თავგადასავალი[1]

უკან დაბრუნების დროს მათ შეხვდათ ჰოლანდიელი მეზღვაურის როგგევენის მიერ აღმოჩენილი კუნძული „აღდგომა“. ამ კუნძულზე გაჩერება, სასმელი წყლის უქონლობის გამო, არ შეიძლებოდა, და კუკი წავიდა მარკიზის კუნძულებისაკენ. მოგზაურობა მეტად ძნელი შეიქნა, რადგან ექსპედიციის ყველა წევრი, და მათ შორის თვით კუკიც, ავად გახდა. მაგრამ კუკს მაინც არ უნდოდა ინგლისში დაბრუნება. მან მარკიზის კუნძულებზე დაჰყო სულ რამდენიმე დღე და გადასწყვიტა წასულიყო ნაცნობ და მოგზაურებისადმი მეგობრულად განწყობილ კუნძულ ტაიტზე.

კუკი ფიქრობდა აქ მოესვენა და სანოვაგის მარაგი შეევსო. კუკის ანგარიში სწორი აღმოჩნდა: ტაიტის მოსახლეობამ კუკი ისე მიიღო, როგორც ძველი მეგობარი; კუნძულის მბრძანებელი გამოცხადდა ხომალდზე და კუკს ძღვნად მიართვა 10 ღორი და უამრავი ხილი. ერთი თვის დასვენების შემდეგ კუკი გაემართა მეგობრობის კუნძულებზე, სადაც ნახა წინად ძმად გაფიცული ორე.

დასავლეთისკენ მოგზაურობის დროს კუკმა აღმოაჩინა და გამოიკვლია კუნძულების მთელი რიგი. ამ კუნძულების ერთ ჯგუფს მან „ახალი გებრიდის“ კუნძულები დაარქვა.

ამავე მოგზაურობის დროს ხომალდზე გაჩნდა ცეცხლი, რომლის ჩაქრობა მხოლოდ დიდი წვალების შემდეგ მოხერხდა.

კუკმა განაგრძო გზა და აქაც აღმოაჩინა ახალი კუნძული კორო-მანგო. რადგან ექსპედიციას შემოაკლდა სასმელი წყლის მარაგი, შეეცადენ ნაპირზე გადმოსვლას, მაგრამ წყლის შოვნა ვერ მოახერხეს—მკვიდრნი წინააღმდეგობას უწევდენ და არ უშვებდენ წყაროებისაკენ. კუკს არ უნდოდა იარაღის ხმარება და ნაპირზე გადასულთ უბრძანა დაბრუნებულიყვნენ. ველურებმა



პიონერი რადიოს უსმენს

გემისკენ ინგლისელების დაბრუნება მათ დამარცხებად ჩასთვალეს და ნავების ნაპირზე გამოთრევა მოინდომეს. მეზღვაურები იძულებული შეიქნენ იარაღი ეხმარათ—რამდენიმე ველური დასჭრეს და რამდენიმეც მოჰკლეს.

1 დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“, № 18—19

გზის განგრძობა უწყლოდ მოუხდათ. საბედნიეროდ, მეორე კუნძულზე—ახალ კალედონიაზე— ველურებმა ინგლისელები კარგად მიიღეს და მაშინვე საქონლის გაცვლა-გამოცვლას შეუდგენ. ამ კუნძულზე ველურები სრულიად ტიტვლები იყვნენ, თუ არ ჩავთვლით ბაწარს, რომელიც მათ ქამრის მაგივრად ერტყათ. ისი-



პიონერები ვარჯიშობენ

ნი გაკვირდენ, როცა ხომალდზე დაინახეს ღორები, თხები და სხვა ცხოველები. ეს ცხოველები სრულიად არ მოიპოებოდა ახალ კალედონიაში. თეთრკანიან ადამიანებსაც პირველად ხედავდენ და განცვიფრებული იყვნენ მათი ფერით.

კუკმა ახალ კალედონიაში ძლიერ მცირე ხანი დაჰყო და ისევ ახალ ზელანდიაში გაემართა. ინგლისელების მიერ პირველად მოსვლის დროს დათესილი ბოსტნები სრულიად განადგურებული დახვდა; მხოლოდ ზოგიერთი მცენარე ამოსულიყო და კარგად გახარებულიყო.

აქედან კუკი გაემართა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხაბარი ოკეანის იმ ნაწილში, რომელიც ჯერ არ ენახა, მიადგა კუნძულ „სამხრეთ გეორგიას“ და განაგრძო გზა მცურავ ყინულებს შუა.

ხანგრძლივმა და სახიფათო მოგზაურობამ მეზღვაურები მეტად მოქანცა; ისინი ინგლისში დაბრუნებას მოითხოვდენ. უკან დაბრუნებისას, კეთილი იმედის კონცხზე კუკმა გაიგო „ანდვეჩერი“-ს ამბავი. კაპიტან ფიურნოს კუკისთვის დაეტოვებია წერილი, რომელშიც აღწერდა თავის თავგადასავალს. ხომალდების ერთიმეორისაგან დაშორების შემდეგ „ანდვეჩერი“ იძულებული გამხდარა უკან დაბრუნებულიყო ახალ ზელანდიაში. იქ ფიურნოს გაეგზავნა 10 მეზღვაური და ლეიტენანტი როუ საჭმელი მცენარეების შესაკრებად... ნავი და გაგზავნილი მეზღვაურები დიდხანს არ ბრუნდებოდენ... შეწუხებულმა კაპიტანმა გაგზავნა მეორე ნავი. მეორედ გაგზავნილმა მეზღვაურებმა ნაპირზე იპოვეს ნავის ნამტვრევები და ოცამდე კალათი, რომელშიც ეწყო წინათ გაგზავნილი ამხანაგების შემწვარი ნაწილები... მეზღვაურებმა შეამჩნიეს შორს ცეცხლის ირგვლივ მჯდომი ველურები... მიუახლოვდენ, აუტეხეს სროლა და გაფანტეს ბრბო... აქაც დახვდათ ამხანაგების ტანის ნაწილები... მიუხედავად გაბრაზებისა, მეზღვაურებს მაინც არ შეეძლოთ სამაგიეროს გადახდა: მეზღვაური იყო სულ ათი, ველური კი მრავალი, თანაც წვიმა დაიწყო და დანამული კაჟის თოფები რომ არ

გავარდნილიყო, მათ წინ მოსული ამხანაგების მდგომარეობაში ჩავარდებოდენ. მეზღვაურები დაბრუნდენ ხომალდზე, რომელიც დაუყოვნებლივ გაემგზავრა ინგლისისაკენ, სადაც 1774 წელს მიაღწია.

სწორედ ერთი წლის შემდეგ „რეზოლიუშენიც“ დაბრუნდა პლიმუტში; მან 3 წელი და 18 დღე იმოგზაურა და იმ დროის განმავლობაში დააკლდა მხოლოდ ოთხი კაცი.

არცერთს მოგზაურობას კუკის ექსპედიციამდე არ მოუცია ასეთი მდიდარი და საყურადღებო მასალა. კუკმა არა თუ აღმოაჩინა კუნძულები, გამოიკვლია კიდეც, შეძლებისდა გვარად გაეცნო მკვიდრთა ცხოვრებას, ზნეჩვეულებას და აღნიშნა გზები და ქვეყნები გეოგრაფიულ რუკაზე. ბევრი ძვირფასი მასალა შეაგროვეს აგრეთვე ექსპედიციის მონაწილე ბუნებისმეტყველებმაც; მათ გამოიკვლიეს მანამდე შეუსწავლელი და გამოუკვლეველი მცენარეები და ცხოველები და გააცვნეს ისინი მთელ ევროპას.

IV

ინგლისიდან ინდოეთში, იაპონიაში და ჩინეთში მისასვლელად საჭირო იყო წინათ ჯერ სამხრეთით ატლანტის ზღვით მოგზაურობა, აფრიკის შემოვლა კეთილი იმედის კონცხთან და შემდეგ ინდოეთის ოკეანის გადაჭრა. უფრო მოკლე გზა ჯერ არ იყო აღმოჩენილი, ეს გზა კი ძალიან გძელი და ძნელი იყო.

ინგლისს სჭირდებოდა საქონლის გადაზიდვა ინდოეთში, რომელიც მაშინ უკვე ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. იაპონიასა და ჩინეთთანაც ინგლისს ვაჭრობა და ხშირი მიმოსვლა ჰქონდა. ინგლისის მთავრობა ძლიერ ცდილობდა გამოენახა ამ ქვეყნებისაკენ მიმავალი უფრო მოკლე და მოსახერხებელი გზა. იგი ფიქრობდა, ჩრდილოეთ ამერიკაში არის სრუტე, რომელიც აერთებს ატლანტისა და წყნარ ოკეანეებსო. ეს სრუტე ძლიერ შეამოკლებდა გზას. საჭირო იყო მხოლოდ მისი აღმოჩენა. იმათ, რომელნიც არ შეუშინდებოდენ ასეთ მოგზაურობას და აღმოაჩენდენ სრუტეს, ინგლისის მთავრობამ აღუთქვა 20 000 გირვანქა სტერლინგი (200 000 მანეთი). გარდა ამისა, მთავრობამ გადასწყვიტა ამავე მიზნით მოეწყო განსაკუთრებული ექსპედიცია.

ახალი ექსპედიციის უფროსად საჭირო იყო გამოცდილი და გაბედავი მეზღვაური. ასეთი სახელი კუკს უკვე ჰქონდა მოხვეჭილი, და იგი დაინიშნა ამ ადგილზე. ექსპედიციაში შედიოდა ორი ხომალდი—„დისკოვერი“ „(აღმოჩენა“), რომლის მეთაური იყო კაპიტანი კლერკი, და იგივე „რეზოლიუშენი“, რომელსაც უფროსობდა კუკი.

მესამე ექსპედიცია გამოვიდა პლიმუტიდან 1776 წლის 12 ივლისს. როგორც წინასწარ გადაწყვეტილი იყო, იგი მივიდა კეთილი იმედის კონცხამდე და იქ დაისვენა.

შემდეგი გზა ამგვარად იყო განზრახული: კეთილი იმედის კონცხიდან უნდა გამგზავრებულიყვნენ სამხრეთით, ფრანგების მიერ ახლად აღმოჩენილი კუნძულებისაკენ. იქ უნდა მოენახათ მოხერხებული ნავსაყუდელი და ტყე. ამ კუნძულებზე დიდხანს დარჩენა კუკს არ უნდოდა, რადგან ეჩქარებოდა ახალი ზელანდიისა და წინ მდებარე სხვა კუნძულებისაკენ, სადაც უნდოდა დაემყარებია ადგილობრივ მცხოვრებლებთან კეთილი განწყობილება.

ამ მიზნის მისაღწევად კუკს ხომალდებზე ბევრი საჩუქარი ჰქონდა. ახალი ზელანდიიდან „რეზოლიუშენ“-ს და „დისკოვერს“ უნდა შემოეარათ ჩრდილო ამერიკის დასავლეთი ნაპირები, გუდზონის ან ბაფინის სრუტით გასულიყვნენ ატლანტის ოკეანეში და იქიდან დაბრუნებულიყვნენ ინგლისში. თუ კი აღმოჩნდებოდა, რომ ამერიკიდან ინგლისში ატლანტის ოკეანით გზა არ არსებობს, მაშინ აპირებდენ კუნძულ კამჩატკაზე დასვენებას და განვლილი გზით შინ დაბრუნებას. უკან დაბრუნების დროს უნდა აერჩიათ ისეთი ხაზი, რომელიც ყველაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა გეოგრაფიისა და ზღვაოსნობისათვის.

გეგმის თანახმად, კუკმა დასტოვა კეთილი იმედის კონცხი და მიაშურა კუნძულებისაკენ. კარგი ნავსაყუდრის აღმოჩენა კი შესძლო, მაგრამ კუნძულებზე ტყე არსად იყო. კუნძულების გამოკვლევის შემდეგ კუკი გაემართა ზელანდიისაკენ, სადაც ასე ტრაღიკულად დაიღუპენ „ანდვეჩერი“-ს მეზღვაურები. როცა ხომალდები ზელანდიაში მივიდენ, მათ შემოერტყენ ველურები, მაგრამ არცერთი ახალზელანდიელი არ ამოდიოდა ბაქანზე. მიზეზი მალე გამოირკვა. მათ ეგონათ, რომ კუკი მოვიდა ამხანაგების სისხლის ასაღებად. კუკმა ძლივს და-



ბავშვები საუზმობენ

არწმუნა ისინი, რომ კეთილი განზრახვით მოვიდა. მისი სიტყვების დამტკიცებას ძლიერ შეუწყო ხელი საჩუქრებმა, რომელსაც ის გულუხვად არიგებდა. მოგზაურები ცოტა ხანს დარჩენ ახალ ზელანდიაში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც კუკმა მოახერხა გაეგო, თუ რატომ დახოცეს ველურებმა მეზღვაურები. თურმე ეს მოხდა ასე: როდესაც მეზღვაურები ვახშმობდენ, ველურები შემოეხვიენ მათ. ზოგიერთს მოუნდა თევზისა და პურის ჭამა. რამდენიმე მკვიდრმა მოიპარა სანოვაგე, მეზღვაურებმა გალახეს ქურდები; შემდეგ შეიქნა ჩხუბი, ამ დროს ერთმა მეზღვაურმა ორჯერ გაისროლა. ამაზე ადგილობრივი მცხოვრებნი გახელდენ და რადგან მეზღვაურების რიცხვი ბრბოსთან შედარებით მცირე იყო, ინგლისელებს აჰყარეს იარაღი და ყველა დახოცეს. კუკმა გადასწყვიტა, ადგილობრივ მცხოვრებლებთან მეგობრული განწყობილების შესანარჩუნებულად, აღარ გამოჰკიდებოდა ამ საქმეს. ინგლისელები და ველურები კმაყოფილი დაშორდენ ერთმანეთს.

ექსპედიციამ ამხანაგობის კუნძულებს მიაღწია. ეს იყო ნაცნობი ადგილები ნაცნობი მოსახლეობით, და მათ ძალიან კარგად ხვდებოდენ. ამ კუნძულების მპყრობელი ფენუ დაეხმარა კუკს სასმელ-საჭმლის მომარაგებაში. აქედან ექსპედიცია გაემგზავრა კუნძულ ტაიტისაკენ. მოგზაურობა აქამდე კარგად მიდიოდა, მაგრამ აქ შეხვდათ ძლიერი ქარიშხალი; ქარიშხლის დროს „დისკოვერი“ ძალიან დაზიანდა, და მათ მოუხდათ ტაიტის კუნძულზე თვეზე მეტი დარჩენა. კუკი ამბობდა, რომ მოგზაურობა ჯერ არ დაუწყია, რადგან 17 თვის განმავლობაში უკვე ნაცნობ ადგილებში მოგზაურობდა.

ახლა კი უნდა შედგომოდა უმთავრესი ამოცანის შესრულებას. იწყებოდა დიდი ოკეანის ჩრდილო ნაწილის გამოკვლევა და ინგლისიდან აზიაში უმოკლესი გზის ძებნა.

როდესაც ექსპედიცია ამხანაგობის კუნძულებიდან ჩრდილოეთით გაემართა, მათ ერთი თვის განმავლობაში არ უნახავთ ხმელეთი. ბოლოს გამოჩნდა კუნძულების ჯგუფი, რომელსაც მკვიდრნი ჰავაის ეძახდენ. კუკმა კი საამირბაროს პირველი ლორდის—სანდვიჩის—პატივსაცემად მათ სანდვიჩის კუნძულები დაარქვა.

ამ კუნძულის მცხოვრებთა ენა თითქმის არ განსხვავდებოდა ტაიტელთა ენიდან, ამიტომ კუკს არ გაუჭირდა მათთან შეთანხმება. განწყობილება კარგი დამყარდა, და მოგზაურებმა გადასწყვიტეს უფრო ახლო გაეცნოთ კუნძულელთა ყოფა-ცხოვრება ჰავაის მცხოვრებნი იყვნენ კარგი ტანისა და ძლიერ მოქნილები. ინგლისელები განსაკუთრებით გააკვირვა დიდი ღელვის დროსაც კი ზღვაში მათმა ცურვამ. კუკს მოჰყავს ერთი მაგალითი: ბავშიანი ქალი იჯდა ნავში; დიდი ღელვის გამო ნავი ვერ უახლოვდებოდა ნაპირს. მაშინ ქალი ბავშიანად გადახტა წყალში და მშვიდობიანად ნაპირზე გამოვიდაო.

ბუნებისმეტყველი ანდერსენი და მხატვარი ვებერი წავიდენ შუა კუნძულის მოსავლელად. ისინი მოგვითხრობენ, რომ ჰავაისა და ტაიტის მოსახლეობის ცხოვრება ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ისინი უთუოდ ერთი ტომის არიან, თუმცა ერთმანეთს დიდ მანძილზე არიან დაშორებული. ექსპედიციის წევრების აზრით, ჰავაიელები ოკეანიის ტომთა შორის ყველაზე უფრო კულტურულნი არიან,—ძლიერ კარგი მიწისმუშები არიან და ბევრად უფრო გულმოდგინე, დინჯი და ჭკვიანი, ვიდრე კუნძულ ტაიტზე მცხოვრებნი.

სანდვიჩის კუნძულებზე ექსპედიციამ თებერვლამდე დაჰყო და აღმოსავლეთით გაემართა ამერიკის დასავლეთი ნაპირებისაკენ. კუკი დიდხანს ვერ ბედავდა ნაპირს მიდგომოდა, რადგან მეტად ცუდი და ნისლიანი ტაროსი დაესწრო და ხმელეთის მიახლოვება სახიფათოდ ეჩვენებოდა. მაგრამ სასმელი წყლის მარაგი თავდებოდა და საჭირო იყო მისი შევსება.

ბოლოს კუკმა გადასწყვიტა გაჩერებულიყო ზღვის პატარა ყურეში, რომელსაც „იმედის ყურე“ უწოდა. აქ მათთან მოვიდენ მკვიდრი მცხოვრებლები სამი ნავით. ერთ მათგანზე იყო ინდოელი, რომელსაც ნადირის ტყავი ეცვა და რაღაცას ლაპარაკობდა. მისი ნიშნებისაგან ინგლისელებმა გაიგეს, რომ მათ ნაპირზე ეპატიჟებოდენ.

აი როგორ აგვიწერს თავის დღიურში ამ ამბავს კუკი: „ველურს, რომელიც რაღაცას ლაპარაკობდა, ხელში ეჭირა ხისგან გამოჭრილი სარახუნებლები. ვრცელი სიტყვის დროს, რომლიდანაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერი გავიგეთ, ის ხშირად აჟღარუნებდა ამ სათამაშოებს. ბოლოს, როდესაც მოიქანცა, ჩაჯდა ნავში, რომ მოესვენა. ორმა სხვა ველურმა დაიჭირა მისი ადგილი. მათი სიტყვა უფრო მოკლე იყო და თანაც არ ლაპარაკობდენ ისე ცხარედ. ბევრს სახე ჰქონდა შეღებილი რაღაც უცნაურად. თავი მორთული ჰქონდათ ჩიტის ფრთებით. ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ვერცერთმა ვერ გაბედა ბაქანზე ამოსვლა“.

ხომალდებას შეკეთებისა და აქ დგომის დროს ინგლისელებსა და მკვიდრთ შორის დაიწყო საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ვაჭრობის დროს ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან სინდისიერად იქცეოდენ, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ, ვაჭრობის შემდეგ, მოეპარათ, რასაც კი დაიხელთებდენ. ამ მხრით ისინი არ გაირჩეოდენ სხვა ველურებისაგან—საკუთრების ცნება მათ არ ჰქონდათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ექსპედიციამ დასტოვა ზღვის ყურე „იმედი“ და გაჰყვა ჩრდილო ამერიკის ნაპირებს ჩრდილოეთისაკენ; გზაზე კუკმა აღნიშნა გეოგრაფიულ რუკაზე ჩრდილო ამერიკის დასავლეთი ნაპირი, რომელიც მანამდე უცნობი იყო.

გზის განგრძობის დროს აღმოაჩინა კუნძული, რომელსაც დაარქვა მეფის კუნძული და მიაღწია პრინც უელსის კონცხამდე, რომელიც ამერიკის მატერიკის ყველაზე უფრო დასავლეთით მდებარე წერტილია.

1778 წლის 17 აგვისტოს კუკმა გაიარა სრუტე, რომელიც ჰყოფს ამერიკასა და აზიას და მიაღწია ჩრდილოეთის სიგანეს 70°-მდე. სრუტეს კუკმა ბერინგის სრუტე დაარქვა. აქედან იწყებოდა ყინულის ველების არე. რამდენიმე თვე სძებნეს რაიმე ვიწრო არხი მაინც, რომ გასულიყნენ ჩრდილოეთით, მაგრამ არავითარი სრუტე არ აღმოჩნდა. მდგომარეობა სახიფათო ხდებოდა—მცურავ ყინულებს შეეძლო ხომალდები დაემსხვრია. კუკმა გადასწყვიტა დაბრუნებულიყო და ზამთარი სანდვიჩის კუნძულებზე გაეტარებინა. შემდეგ ზაფხულზე კი ფიქრობდა ისევ შედგომოდა გზის ძებნას.

ერთი თვის ცურვის შემდეგ ძლივს შეამჩნიეს სანდვიჩის ჯგუფის პირველი კუნძული მოვეე, სადაც კუკმა მოამზადა სანოვაგის დიდი მარაგი და გაემართა ჰავაისაკენ.

კუკი დიდის ზეიმით მიიღეს ამ კუნძულზე. ქურუმთ მთავარმა მოახურა კუკს წითელი მოსასხამი და ვრცელი სიტყვა უთხრა. კუკი ძალიან გააკვირა ასეთმა უცნაურობამ და ცდილობდა გაეგო, რა იყო ასეთი შეხვედრის მიზეზი. თურმე, ჰავაიელების რწმენით, კუნძულზე ცხოვრობდა ოდესღაც ღმერთი ო-რონე; ო-რონემ იჭვით მოჰკლა თავისი სრულიად უდანაშაულო ცოლი. როცა ო-რონემ თავისი შეცდომა გაიგო, მწუხარებისაგან ჭკუაზე შეიშალა, დაიწყო კუნძულზე ხეტიალი და მცხოვრებლებს დაჰპირდა, რომ უკანვე მოვა მცურავ კუნძულზე... და კუკი მიიღეს სწორედ იმ ღმერთად.

ქურუმმა გამოაცხადა, რომ კუკი არის ღმერთი ორონე და დაუწყო თხოვნა ჩამოსულიყო ხმელეთზე. კუკი დათანხმდა. მის წინ წავიდა ოთხი ჰავაიელი კვერთხებით, დანარჩენნი კი ან მორბოდენ, ანდა პირქვე ვარდებოდენ მიწაზე, როგორც ღვთაების წინაშე. კუკი მიიყვანეს ძლიერ დიდ ტაძართან, რომელსაც თეთრი ქვის სვეტები ჰქონდა; ტაძარს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა მესერი, რომელზეც ჩამოცმული იყო ადამიანის თავის ქალები—ეს იყო ღმერთებისათვის შეწირული მსხვერპლი. ტაძრის შიგნით, სადაც კუკი შეიყვანეს, იდგენ ღმერთების ქანდაკებანი, რომელნიც ხისგან იყვნენ გაკეთებული და საზარი სახეები ჰქონდათ. ქურუმთ მთავარმა სთხოვა კუკს ასულიყო ხის ამაღლებულ ადგილზე, და როდესაც კუკმა თხოვნა შეასრულა, მოახურა წითელი მოსასხამი. ტაძარში მყოფი ქურუმები ამ დროს გალობდენ საგალობლებს. ამ წესის შესრულების შემდეგ კუკი დიდის პატივით წაიყვანეს ხომალდზე და ისე ეექცეოდენ, როგორც ნამდვილ ღმერთს.

კუკი არ ცდილა ადგილობრივი მცხოვრებლების ეს ცრუ რწმენა გაეფანტა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს ცრუმორწმუნეობა მთელ ექსპედიციას სამუდამოდ უზრუნველყოფდა. მაგრამ სულ სხვა ამბავი დატრიალდა.

ღმერთის სასწაულებრივმა გამოჩენამ ხალხში ქურუმებისადმი ნდობა ძლიერ ასწია. ეს არ მოსწონდათ მეომრებს,—მათ არ უნდოდათ გავლენა დაეკარგათ. მეომრებმა გადასწყვიტეს გამოეკვლიათ, მართლა ღმერთია კუკი თუ არა. მათ გაგზავნეს ხომალდზე მთავარი წინამძღოლი ტარაი-ოპუ. კუკმა მეომარი ძლიერ კარგად მიიღო, გააცნო მეზღვაურებს და აჩვენა ხომალდი. ტარაი-ოპუ ყველაფერს უკვირდებოდა და გადასწყვიტა, რომ თეთრკანიანები უბრალო მოკვდავები არიან. ეს რწმენა მას მიაღებინა მეზღვაურთა მოქანცულობამ და კუკის ცდამ სანოვაგის მომარაგების შესახებ; მან მოისაზრა, რომ ნამდვილ ღმერთს საჭმელი არ დასჭირდებოდა.

ნაპირზე რომ გავიდა, მეთაურმა ყველაფერი უამბო მეომრებს.

სანოვაგისა და ხილის მიღების შემდეგ კუკი გავიდა კარაკანცის ნავსადგურიდან, მაგრამ ისეთი ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომ იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

დაბრუნებისთანავე ინგლისელებმა შეამჩნიეს, რომ მკვიდრნი ახლა სულ სხვანაირად ეპყრობიან. მეგობრობისა და პატივისცემის მაგიერ ისინი უნდობლობას და მტრობასაც კი იჩენდენ. მაგალითად, ზოგიერთმა ჰავაიელმა წინამძღოლმა დაუშალა ადგილობრივ მცხოვრებლებს დახმარებოდენ მეზღვაურებს კასრების წყლით ავსებაში. ერთმა ჰავაიელმა მოიპარა „დისკოვერი"-დან გაზი და საუეხი და გატახტა ზღვაში. ინგლისელები გამოედევნენ, მაგრამ ჰავაიელი ჩახტა ნავში და მიიმალა. მართალია, ცოტა ხნის შემდეგ წინამძღოლმა მოიტანა ნაქურდალი, მაგრამ ქურდის გაცემაზე და გატაცებული ნავის დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ინგლისელებმა სცადეს ნავის ძალით დაბრუნება, მაგრამ ჰავაიელებმა მათ ქვები დაუშინეს.

კუკმა იფიქრა, თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალა არ აჩვენე, ისინი სრულიად გათავხედდებიან და ექსპედიცია საფრთხეში ჩავარდებაო. საჭირო იყო გავლენის აღდგენა. ამ მიზნით მან გადასწყვიტა ძევლად წაეყვანა, სანამ ნავს არ დაუბრუნებდენ, ჰავაის მთავარი წინამძღოლი ტარაი-ოპუ. შეიარაღებული მეზღვაურების მცირე რაზმით კუკი ნაპირზე გადავიდა. ტარაი-ოპუ დასთანხმდა წაჰყოლოდა გემზე. მაგრამ იმ დროს, როცა ტარაი-ოპუ ნავში ჯდებოდა, მივარდა ერთი მისი ცოლთაგანი და ცრემლებით ეხვეწებოდა არ წასულიყო. ცოლი მოთქმით აფრთხილებდა წინამძღოლს, რომ, თუ ის წავა, რაღაც ხიფათს გადაეკიდება. ინგლისელების ირგვლივ შემოიკრიბენ შეიარაღებული ჰავაიელები. ამავე დროს მათ შორის გავრცელდა ხმა, რომ თეთრკანიანებმა მოჰკლეს ერთი ჰავაიელი წინამძღოლთაგანი.

კუკი მიხვდა, რომ კარგი აღარაფერი იყო მოსალოდნელი და, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, უბრძანა მეზღვაურებს სასწრაფოდ დაბრუნებულიყვნენ ხომალდზე. როდესაც თვით კუკი უახლოვდებოდა ნავს, ერთი ჰავაიელი მიეპარა და მოუქნია ხანჯალი. კუკმა მოასწრო მობრუნება და ესროლა საფანტით დატენილი თოფი, მაგრამ ჰავაიელი უვნებლად გადარჩა, რადგან გული დაფარული ჰქონდა ჭილობით. მან ხელმეორედ მოუქნია კუკს დანა, მაგრამ ვიღაც მეზღვაურმა ესროლა თოფი და იქვე მოჰკლა. ამხანაგის მოკვლით გააფთრებული მკვიდრნი მიესიენ კუკს, ნავებიდან კი მეზღვაურებმა ასტეხეს სროლა, რომ როგორმე გადაერჩინათ საყვარელი უფროსი. კუკს მაინც არ უნდოდა ბრძოლა დაეწყო; ამიტომ უბრძანა მათ შეეწყვიტათ სროლა და მიახლოვებოდენ ნაპირს. ერთმა ნავმა მაშინვე შეასრულა ბრძანება, ხოლო მეორემ ვერ გაიგო ბრძანება და გაშორდა ნაპირს. ამ შეცდომით ისარგებლეს ჰავაიელებმა. მათ ერთადერთი ნავისკენ გადენეს ნაპირზე მყოფი მეზღვაურები. კუკი მარტო დარჩა.

კუკი იგერიებდა ყოველის მხრიდან მოწოლილ მტერს; ასე თითქმის მივიდა ნავთან, რომ ერთმა ჰავაიელმა კეფაში ჩასცა შუბი. კუკი წაიქცა, მაგრამ გონს მალე მოვიდა, წამოდგა და განაგრძო უკან დახევა; ამ დროს მეორე ჰავაიელმა კისერში ჩაჰკრა ხანჯალი. კუკი გადავარდა წყალში; კიდევ შესწევდა ღონე ამდგარიყო, მაგრამ ჰავაიელები ახრჩობდენ. კუკმა ერთხელ კიდევ მოახერხა გასხლტომოდა მტერს ხელიდან, მაგრამ ძლიერად დარტყმულმა შუბმა მთელ სხეულში გაუარა.

* * *

გათავდა ცხოვრება ზღვაზე დიდი მოგზაურისა. კუკისგან მოსალოდნელი იყო კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ისიც, რაც მოასწრო, გვაკვირვებს თავისი მიღწევებით. კუკმა გამოიკვლია წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილი, გამოიკვლია და აღნიშნა გეოგრაფიულ რუკაზე ასეული კუნძული, მათ შორის ახალი კალედონია და სანდვიჩის კუნძულები. მისმა ექსპედიციებმა მოაგროვა ბოტანიკის, ზოოლოგიის და ეთნოგრაფიის დიდი მასალა, მან დაამტკიცა, რომ მთელ ოკეანიაში ცხოვრობს პოლინეზიის ტომის ერთი ხალხი და გამოარკვია, რომ სამხრეთი მატერიკი სრულიად არ არსებობს, ხოლო ახალი გვინეა და ახალი ზელანდია ცალკე კუნძულებია და არავითარი კავშირი არ აქვთ ავსტრალიასთან.

მის აღმოჩენებსა და გამოკვლევებს საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, და ეს იყო აღნიშნული მთელი მსოფლიოს მიერ. საფრანგეთმა თვით ინგლისთან ომის დროსაც კი გამოსცა განსაკუთრებული ბრძანება, რომ საფრანგეთის ხომალდებს ხელი არ შეეშალათ კუკის ექსპედიციისათვის, იმდენად საყოველთაო საქმედ იყო მიჩნეული კუკის მოღვაწეობა.

კუკის სახელი უკვდავია ადამიანის მიერ მიწის დაპყრობის ისტორიაში.

კუკმა, ღარიბი გლეხის შვილმა, თავისი ცხოვრება დაიწყო უბრალო იუნგად (გემ—ხომალდის ფარეშად) და მოიხვეჭა მსოფლიო სახელი მხოლოდ თავისი ძლიერი ნებისყოფით, მხნეობითა და მაძიებელი გონებით.

მაგრამ მაშინაც კი, როცა მისი სახელი მოეფინა ქვეყანას, კუკი არ ივიწყებდა, თუ რა ძნელი გზა გაიარა, იცოდა მეზღვაურთა ყოველი საჭიროება, ზრუნავდა მათზე და დაიმსახურა მათი სიყვარული და თავდადებული ერთგულება.

კაპიტანი კუკი იყო არა მხოლოდ დიდი მეზღვაური, არამედ დიდი ადამიანიც.

თარგმანი **ნ. ნ. მამადაშვილის**

სოფლად პიონერული რადიო-ლაშქრობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბრიდან 1930 წლის 1 მაისამდე საქართველოს ბ. კ. ო. ც. ბ. აწყობს სრულიად საქართველოს პიონერულ რადიო-ლაშქრობას სოფლად; ამ ლაშქრობის კონკრეტული ამოცანაა ნორჩ პიონერთა ყველა კოლექტივის მიერ შესრულება რადიო-ცენტრთან დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც გულისხობს რადიომიმღებთა მიწოდებას სოფლისათვის.

ამ ლაშქრობამ წინ უნდა წასწიოს სოფლის რადიოფიკაციის საქმე, მან ამ საქმეზე უნდა მიაპყრობინოს ყურადღება საბჭოთა საზოგადოებრივობას და კერძოდ კი განსახკომს, განათლების განყოფილებებს, კოოპერაციას და პროფორგანიზაციებს.

ყოველ პიონერ-კოლექტივში უნდა გაუმჯობესდეს რადიო-საქმის ცოდნა, მიზნად უნდა იყოს დასახული: „ყველა პიონერ-კოლექტივს უნდა ექნეს რადიომიმღები“.

რადიოს მეგობართა საზოგადოებას უნდა შევძინოთ ახალი წევრები, გასაქანი და გზა უნდა მიეცეს ამ საზოგადოების წევრთა აქტივობას, რომ რადიო შეიჭრას სოფლად.

ბოლოს, გლეხებს უნდა გავუღვივოთ რადიოფიკაციისადმი ინტერესი, ვიზრუნოთ, რომ მათ თვითონ შეიძინონ რადიომიმღებნი.

რადიოფიკაციამ უპირველეს ყოვლისა სოფლის პიონერ-კოლექტივებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სკოლებს, წითელ კუთხეებს და ქოხ-სამკითხველოებს უნდა გაუწიოს სამსახური.

მაგრამ ლაშქრობა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით როდი უნდა დასრულდეს, ლაშქრობა უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ სოფელს და ყოველ პიონერ-კოლექტივს საბოლოოდ არ დაიპყრობს რადიოფიკაცია, მაგრამ სალაშქრო ვადა — ნოემბრიდან 1930 წლის 1 მაისამდე — ესაა მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საშური მომენტი, რომლის ჩატარება იქნება იმის საუკეთესო შემოწმება, თუ რამდენად შესძლებს ბ. კ. ო.ბიუროს პიონერ-აქტივი ბავშთა მასების დაორგანიზებას, დარაზმვას სოციალისტურ აღმშენებლობაში, რადიოს დარგში, აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

გამოვლენ რა რადიო-ლაშქრობის ამ ძირითად ამოცანათაგან, ბ. კ. ო. ბიურომ და რადიოს მეგობართა საზოგადოების საბჭომ უნდა დაისახონ თავისი პრაქტიკული ღონისძიებანი ლაშქრობის ჩასატარებლად და დაუყოვნებლივ ფართოდ შეუდგენ მზადებას.

ამ ღონისძიებათა ძირითადი მომენტებია:

1. ლაშქრობის ამოცანების შესასრულებლად კოლექტივების მუშაობის უზრუნველყოფა ცოცხალი ხელმძღვანელობით, რისთვისაც უნდა მოეწყოს ხოლმე ლაშქრობის ჩატარების შესახებ სპეციალური თათბირები; ამ თათბირებს დაესწრებიან რაზმების ხელმძღვანელნი და რადიომყვარული პიონერები, აგრეთვე დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც იქნებიან მოწვეულნი; ლაშქრობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა შტაბის დაარსება; მასში შევა 3 წევრი — ბ. კ. ო. ბიუროდან, რადიოს მეგობართა საზოგადოებიდან და განათლების განყოფილებიდან.

2. ამ მუშაობის მოწყობა შემდეგ საფუძველზე: რაზმებს, რაიონებს და ოლქებს შორის მოეწყობა სოციალისტური შეჯიბრი, თუ ვინ გადააჭარბებს განწესრიგებას, ვინ უკეთ მოაწყობს ლაშქრობას, ვინ შესძლებს იაფფასიან მიმღებთა მოწყობას და სხვა. პრაქტიკაში უნდა იქნეს შემოღებული ორგანიზაციებს შორის რადიოგამოძახება, როდესაც უნდა ეცნობოსთ გამოძახებულებს მიღწევები, უნდა მოეწყოს გამოწვევები ამოცანის გადაჭარბებაზე, ამ მუშაობის საუკეთესოდ მოწყობაზე (რადიო-გამოძახების მასალები გადაუგზავნეთ ც. ბ. რადიოსადგურის მეშვეობით გადასაცემად).

ლაშქრობის დასაწყისი უნდა აღინიშნოს პიონერთა საზეიმო საღამოების მოწყობით, სადაც განიხილება და ხელსაც მოაწერენ რაიონებსა და კოლექტივებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს — თუ ვინ უკეთ მოაწყობს ლაშქრობას; უნდა მოეწყოს საქმის დამწყებთა მსვლელობა, მოძრავ რადიოდადგმულობათა მუშაობის დემონსტრაცია, ლაშქრობის დასაწყისისთვის მიძღვნილი რადიოგადაცემის კოლექტიური მოსმენა.

3. ფართოდ უნდა განიხილოს პიონერ-კოლექტივებში მათ მიერ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების საკითხი, კონკრეტულად აღინიშნოს, როგორ მოეწყობა რადიო-საქმის სწავლება, რამდენ რადიომიმღებს გააკეთებენ; უნდა იზრუნონ აგრეთვე თვითღირებულების შემცირებაზე და სხვა ღონისძიებათა გატარებაზე.

5. ყველა საოლქო და სამაზრო ცენტრში მოწყობა რადიო-საქმის საღამოს პიონერული კურსების, იმ ანგარიშით, რომ კურსანტები გამოყენებულ იქნენ, როგორც კოლექტივების ინსტრუქტორები რადიო-საქმეში. რადიოს მეგობართა საზოგადოება უფასოდ გაუგზავნის კურსებს ხელმძღვანელს და სწავლებისთვის საჭირო ყოველგვარ მოწყობილობას.

6. რაიონულ ცენტრებში რადიოს მეგობართა საზოგადოების ინსტრუქტორების გაგზავნა იმ მიზნით, რომ მათ შეასწავლონ პიონერებს რადიომიმღებთა გაკეთება.

7. რადიო-წრეების ქსელის მოწყობა პიონერ-ორგანიზაციებში, ხელმძღვანელებად მოწვევა რადიოს მეგობართა საზოგადოების აქტივისა და რადიო-საქმის მცოდნე პიონერების.

8. ღონისძიებათა გაძონახვა რადიოფიკაციისთვის საჭირო თანხების საშოვნელად და ამ ლაშქრობის ჩასატარებლად (საღამოები, ორგანიზაციების ანარიცხები და სხვ.)

რეგულარულად გააშუქეთ თქვენს ორგანიზაციაში და კომკავშირულ და პიონერულ პრესაში ლაშქრობის მსვლელობა. ყოველი თვის პირველ დღეს მიაწოდეთ ც. ბ. და საქართველოს რადიოს მეგობართა საზოგადოების საბჭოს ცნობები მოცემული დირექტივის შესრულების შესახებ, თანაც აღნიშნეთ გაკეთებულ რადიომიმღებთა რიცხვი და ამ საქმეში კოლექტივების მიერ მიღებული მონაწილეობის თვალსაჩინო ფაქტები.

საჭიროა სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის რადიომიმღებთა გადაცემის საზეიმოდ მოწყობა.

ყოველგვარი ტექნიკური შეკითხვა, რომელიც ეხება რადიოს, გადმოგზავნეთ საქ. რადიოს მეგობართა საზოგადოების საბჭოში — ტფილისი, რუსთველი.

ლაშქრობის ჩატარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს კოლექტივების და მთელი პიონერ-ორგანიზაციის გეგმიან მუშაობას.

სოფლად რადიოს შეტანის საკითხთან დაკავშირებული ცალკეული კონკრეტული ღონისძიებანი კომკავშირის კომიტეტებმა უნდა განიხილონ.

ქიმიის საოცრებანი[1]

(დასასრული)

ქვანახშირის ფისიდან ქიმიკოსები ამუშავებენ ათეულ სხვადასხვა პროდუქტს. აქ ასეული სხვადასხვა საღებავის გარდა კეთდება აგრეთვე სურნელოვანი საპონი, ფოტოგრაფიული პრეპარატები, ძილის ავადმყოფობის საწინააღმდეგო წამლები, აგრეთვე გადამდები ტიფის საწინააღმდეგო წამალიც, ამზადებენ აგრეთვე მელანს, „საბარინს“ და ბოლოს საშინელ ასაფეთქებელ ნივთიერებებს და არა ნაკლებ საშინელ მახრჩობელა გაზებს, რომელიც ცრემლის დენას იწვევს.

აბრეშუმი, წამალი და დენთი (თოფის წამალი) შეშიდან.

ქიმიკოსს თითქმის ყოველივე ნივთი შეუძლია გადააქციოს გამოაცებელ სხვადასხვა სახის ნივთად. შეშის ნაჭრებიდან ქიმიკოსი ამზადებს ძმრის სიმჟავეს და ხის სპირტს, სკიპიდარს და კუპრს. ქიმიკოსი აკეთებს ხიდან ფორმალინს, რომლითაც დეზინფექციას უკეთებენ ბინებს რომელიმე გადამდებ სნეულებათა შემდეგ და ამზადებს აგრეთვე ქაფურის ზეთს, რომელიც ფრიად გავრცელებული წამალია. ქიმიკოსი შეშიდან ამზადებს ქაღალდს, რომელზეც ბეჭდავენ წიგნებს და გაზეთებს, მისთვის ადვილია მოამზადოს იმავე შეშიდან უკვამლო დენთი (თოფის წამალი). ბოლოს უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ ქიმიკოსი ხის ნაფოტებიდან და ნახერხიდან ამზადებს „კინო-ლენტს“, დგიმს, ფოლაქებს, ფოტოგრაფიულ ფირფიტებს და ხელოვნურს აბრეშუმს, რომელიც გამძლეცაა, იაფი ღირს და ბუნებრივად მიღებულ აბრეშუმზე უფრო ლამაზია. ქიმიური საოცრებანი, ხის ქიმიური გარდაქმნიდან მიღებული, შეიძლება მეტად გასაკვირი იყოს, ვიდრე ქვანახშირის ქიმიური გარდაქმნა სხვა ნივთიერებად. მაგრამ ადვილად კეთდება ქიმიკოსის მიერ ეს საოცარი გარდაქმნანი.

ისინი გვეჩვენებიან თითქმის დაუჯერებელ ამბავად და მათ შემქმნელებს ხშირად უხდებათ სასტიკი ომის წარმოება ხალხის ზოგიერთ ნაწილთან. მაგ. დაინტერესებულ მრეწველებსა და სამღვდელოებასთან, რომელნიც ყოველთვის ცდილობდენ ჩაეხშოთ და დაეღუპათ ყოველი ახალი და გაბედული გამოგონება.

აი შენ ერთ-ერთი მაგალითი უამრავი მაგალითიდან.

ღამის წყვდიადი, „ღვთიური კანონები“ და მყრალი გაზი.

1819 წელს გერმანელ ქიმიკოსთა ჯგუფმა აღმოაჩინა ქვანახშირიდან მნათობი გაზის მიღების საშუალება; მათ დაინახეს, რომ ამ გაზს მშვენივრად შეეძლო შეეცვალა მაშინდელი ზეთის სანათები (ჭრაქები), ქონის სანთლები, და წინადადება მისცეს ქ. კელნს მით გაენათებიათ ქუჩები. ამ წინადადების მიცემის მეორე დღესვე აღმოუჩნდათ შეძლებული მტრები. უპირველეს ყოვლისა, მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს იმ ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონეებმა, რომელნიც ამზადებდენ ქონის სანთლებს. ისინი მაშინვე მიხვდენ, რომ ეს ახალი აღმოჩენა დაღუპავდა მათ საქმეს და უმთავრესად დაიღუპებოდენ ის ჩარჩები, რომელნიც მათ საქონელს უსაღებდენ. ამ გერმანელ ქიმიკოსებს წინააღმდეგობა გაუწიეს სასულიერო პირებმა, ვინაიდან ისინი ყოველთვის კვალდაკვალ მიჰყვებოდენ იმათ, ვისაც მეტი ფული ჰქონდა. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ „ქალაქის მამებმა“ „ეკლესიის მამებთან“ ერთად გამოიტანეს „ბრძნული“ გადაწყვეტილება: „ღამით ქუჩის განათება ეწინააღმდეგება ღვთიურს კანონებს, ვინაიდან ღმერთს ღამის წყვდიადი იმიტომ კი არ შეუქმნია, რომ ის ადამიანს დაეღლვია“.

ქიმიკოსებმა ასეთი გადაწყვეტილების გამო არ მისცეს სასოწარკვეთილებას თავი და ახლა წინადადებით მიმართეს ინგლისს ამ ახალაღმოჩენილი გასანათებელი გაზის შეძენისათვის. მაგრამ ინგლისშიაც იგივე ისტორია განმეორდა. აქაც ქიმიკოსებს წინააღუდგენ სასულიერო პირები და ამ საქმით დაინტერესებული მწარმოებელნიც. მათ მოისყიდეს სხვადასხვა გაზეთების გამომცემლობა და დაიწყეს ამ ახალი გამოგონების წინააღმდეგ მიმართული დამცინავი წერილების მოთავსება. ლონდონის გაზეთები მოითხოვდენ „სასტიკად დაესაჯათ უპკუონი, რომელთაც უფიქრიათ ქონის სანთლის მშვენიერი განათება შეეცვალათ მყრალი და საწამლავიანი გაზით“. და იმ დროის ინგლისის იუმორისტულმა ჟურნალებმა კი კარიკატურებით ააჭრელეს ჟურნალის ფურცლები და ეუბნებოდენ თავის მკვითხველებს, რომ „მხოლოდ გიჟი დედაკაცები დაიწყებენ სიარულს ღამ-ღამობით წყლის მოსატანად ამ ახალი გაზის სანათით, იმიტომ, რომ იშვიათად მოიძებნება ისეთი ნორმალური კაცი, რომელიც გაბედავს ასეთ „საწამლავიან სანათთან“ იქონიოს საქმე“. საჭირო იყო ბევრი წლის განმავლობაში ურყევი და დაჯინებითი ბრძოლა, რომ ბოლოს აღმოჩენას გაემარჯვნა. მაგრამ ახლა ქიმიკოსებს შეუძლიათ იდღესასწაულონ ბრწყინვალე გამარჯვება: ამჟამად ყოველ წელს მთელს მიწის ბურთობზე 50 მილიონი ტონა ქვანახშირი იხარჯება გაზის ქარხნების დასაკმაყოფილებლად, რომელნიც ამუშავებენ 15 მილიარდ კუბიკურ მეტრ განმანათებელ გაზს. გაზის ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ ერთი საათის განმავლობაში მოგვცეს 15 000 მილიარდი სანთლის სინათლე და აივსოს უზარმაზარი, სამი კუბიკური მილიარდი მეტრის დიამეტრის მქონე ჰაერის ბურთი.

ათეული ასეთი ისტორიის მოყოლა შეიძლება.

რატომ უნდა ვიყიდოთ მიწის სასუქი აფთიაქში?

უხსოვარ დროში მთელს ქვეყანაზე ჰქუხდა მცირე აზიის ორი შეძლებული სახელმწიფოს სახელი--ასურეთის და ბაბილონის. არცერთი სახელმწიფო მთელს მიწის ბურთობზე ამათზე უფრო ძლიერი არ ყოფილა. ეს იმიტომ, რომ მათი მინდვრები საოცარ უნახავ მოსავალს იძლეოდა, რაც ამ მხარეს ამდიდრებდა და დამოუკიდებელს ხდიდა. მაგრამ ერთხელ, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, მოსავალმა დაიწყო მოულოდნელად თანდათან კლება და წლითი-წლობით თანდათან უფრო და უფრო ნაკლებს მოსავალს იძლეოდა მიწა. გეგონებოდათ: ნიადაგი ალბათ გამოიფიტა და უკვე მეტი ძალა არ გააჩნია წინანდებურად პურის უხვი მოსავლის მოსაცემადო. პირველად ხალხმა იგრძნო პროდუქტის ნაკლებობა, შემდეგ უჩინრად შემოიპარა გაძვალმტეკავებელი შიმშილობა, ამას მოჰყვა გადამდები სენის გაჩენა და ხალხმა დაიწყო გახიზვნა. მინდვრები შეიქნენ სრულიად უნაყოფო, და მხარე დაცალიერდა. ასე დაიღუპა მცირე აზია, რომელიც აყვავებული მხარე იყო ოდესღაც და რომელიც მზისგან გადამწვარ, გაშიშვლებულ ნახევრად ცალიერ მხარედ იქცა.

ასეთივე საშიშროება დაატყდა ევროპას თავზე გასული საუკუნის მეორე მეოთხედში: ევროპის მინდვრებში მოსავალმა შეუჩერებლივ იწყო კლება. ფიქრობდენ— ევროპის მინდვრების გადარჩენის იმედი არ არის და ევროპაც უნდა დაიღუპოს ისევე, როგორც დაიღუპა ოდესღაც მცირე აზიაო. ევროპა ამ განსაცდელიდან გერმანელმა ქიმიკოსმა იუსტუს ლიბიხმა გადაარჩინა. მან გაიგო მოსალოდნელი კატასტროფის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ მცირე აზია დაიღუპა უმთავრესად იმიტომ, რომ მის ნიადაგში გამოილია საკვები ნივთიერებანი

[1]) დასაწყისი იხ. № 22.

ცხვში—კალიუმის მარილ ინი შესჭამეს მცენ რეებმა, ნიადაგიდან გამორეცხა წ ა, და მინდვრებმაც უკვე ვერ შესძლეს მოეცათ ისეთი მოსავალი, რასაც წინად იძლეოდენ. რომ არ დაღუპულიყო ევროპაც, მცირე აზიის მსგავსად, მათ უნდა მიეცათ თავისი მინდვრებისათვის რაც შეიძლება ჩქარა საკვები ნივთიერება. საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს გერმანიის ქალაქ სპარსფურტის ახლოს იპოვეს კალიუმის მარილის უმდიდრესი ფენები და ახალგაზრდა ქიმიკოსმა ა. ფრანკმა მოსძებნა იაფი საშუალება, ნიადაგის გასასუქებლად რომ გადაემუშავებიათ ის.

მთელი სიცოცხლე უხდებოდა ამ ქიმიკოსს ბრძოლა მიწის მფლობელებთან, რომელთაც არ სჯეროდათ მისი აღმოჩენა.

— რატომ უნდა ვიყიდოთ სასუქი აფთიაქში?

ვერ გაეგოთ ეს მათ.

მაგრამ როცა ის მაინც ბოლოს და ბოლოს არწმუნებს მათ და აიძულებს გამოიყენონ კალიუმის სასუქი, პირდაპირ გასაოცარ შედეგს იღებენ: ერთ ჰექტარზე მოსული მოსავლის თითო ტონა 2 1/2-ჯერ გაიზარდა. ამის შემდეგ კალიუმის საშუალებით მიწის ნიადაგის გასუქება, ესე იგი განოყიერება, ფართედ გავრცელებდა საზღვარგარეთ.

ქიმიური საზრდოს მიწოდება საბჭოთა მინდვრებისათვის

მეფის დროის რუსეთს ქიმიის არაფერი ესმოდა. ჩვენ საზღვარგარეული ქიმიის მონებად ვითვლებოდით: ჩვენ ქიმიის მონაცემებით გერმანეთი გვასაზრდოებდა. ქიმიის ასეთი სიღარიბის გამო ჩვენ უფრო ვღარიბდებოდით. ქიმიური საზრდოს მიუცემლობით უიმედოდ დაავადებული ჩვენი სახნავი მინდვრების შედეგი იყო წლითიწლობით მოუსავლობა, რის გამოც ხშირი იყო შიმშილობა. საცოდავად იხოცებოდა ჩვენი გლეხობა. რაღაც უმნიშვნელო გროშებად ჩვენგან მიჰქონდათ საზღვარგარეთ ქიმიური შენაერთისათვის საჭირო საუკეთესო ნედლი მასალა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მიგვეცა ათასი მანეთობით იმავე ნედლ მასალაში, რომელიც უკვე გადამუშავებული იყო მოცემული. ძალიან ხშირად ჩვენი უცოდინარობისა და დაუდევრობის გამო ვკარგავდით მრეწველობისათვის მეტად საჭირო და ძვირფას პროდუქტებს, ვინაიდან არ ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეხმარა ეს პროდუქტები. ასე იყო მეფის დროის რუსეთში.

მაგრამ ეს არ იქნება ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ვინაიდან ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ქიმიის ცოდნის შეიარაღებით შეგვიძლია დავეწიოთ და გავუსწროთ კიდევაც კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენს ხუთწლიანს გეგმაში ასეთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქიმიას.

მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით უპირველეს ყოვლისა ჩვენ საგრძნობლად მივაწვდით ქიმიურ საზრდოს საბჭოთა სახნავ მიწებს. ამისათვის ჩვენ ფრიად განვავითარებთ ნიადაგის გამანოყიერებელი კალიუმის დაგროვებას, რომელიც ამ უახლოეს დროში აღმოჩენილ იქნა კამის ზედაპირზე ქყოფ უმდიდრეს წანახშის შრეებში. ამ წანახშის შრეებში ბლომად ურევია კალიუმი, და ჩვენი ხუთწლედის ბოლოს ეს მოგვცემს 1 1/2 მილიონ ტონა სასუქ კალიუმს.

კალიუმის გარდა ჩვენ მივცემთ საზრდოდ მინდვრებს სუპერფოსფატს. ხ ი წლის ბოლოს გაშენებული ქიმიური ქარხნები ლენინგრადის მიდამოებში, ურალზე, უკრაინაში და უმთავრესად მოსკოვის მიდამოებში, ბობრიკოვის გამძლე ელექტროსადგურის მახლობლად — დაამზადებენ 3 მილიონ ტონა სუფერფოსფატს. ეს რაოდენობა უდიდესია, იმიტომ რომ 1913 წელს ჩვენმა სახნავმა მინდვრებმა მიიღეს მხოლოდ 55 000 ტონა და 1918 წელს კი—150 000 ტონა ამ სასუქისა.

გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ სახნავ მინდვრებს მესამე და მეოთხე ნივთიერებაც—„გოგირდმჟავას ამონიუმი“ და „ტომას-შლაკი“. პირველს ჩვენ მივიღებთ ქვანახშირიდან, მეორეს კი მოვაგროვებთ ქალაქ ქერჩის ახალ მეტალურგიულ ქარხანაში მოგროვილი ნაგვის ხროვიდან. ხუთი წლის შემდეგ მდიდარს ულუფას მოუმზადებს საბჭოთა სახნავ მინდვრებს საბჭოთა ქიმია, და ისინიც არ დარჩებიან ვალდებულნი: მიიღებენ რა ნორმალურს პირობებს „მუშაობისათვის“, ისინი ასწევენ „თავის შრომის ნაყოფიერებას“ 30 პროცენტით მაინც და მოგვცემენ დამატებით ათეულ მილიონ ტონა პურს.

ქიმიური ხუთწლედი

ჩვენს ხუთწლედში რაც შეიძლება ფართედ განვავითარებთ საღებავების წარმოებას ნახშირიდან: მოსკოვის მიდამოებში მოთავსებული ბობრიკოვის უზარმაზარი ქიმიური ქარხნები მთლიანად დააკმაყოფილებენ ჩვენს საქსოვ ფაბრიკა-ქარხნებს, ეს კი მოგვცემს შესაძლებლობას“ შევინახოთ სალარაში ის 75 მილიონი მანეთი, რომელიც უნდა ჩაგვეყარა საზღვარგარეული „ქიმიის მეფეების“ ხელში ჩვენ მიერ შემოტანილი საღებავებისათვის, მაგრამ ახლა იქიდან არაფერი შემოგვაქვს, ვინაიდან წინანდებურად როდი ვართ საზღვარგარეთის ქიმიის მონები. უზარმაზარ „დნეპროსტროის“ ალიუმინიუმის ქარხანაში ქიმიკოსები მოამზადებენ ყოველწლიურად 10 000 ტონა ალიუმინიუმს. ეს „მომავალი ლითონი“ გამძლეა ისე, როგორც ფოლადი, და მჩატეა, როგორც გამომშრალი ხე. არის ისეთი განსაკუთრებული ქიმიური ქარხნები, რომელნიც უბრალო მოხარშული მარილიდან მოამზადებენ ქლორს, რომელიც მოსწამლავს და გასწყვეტს ჩვენი მინდვრების მავნებლებს, რომელიც ითამაშებს უდიდეს როლს წამლების წარმოებაში და შეაიარაღებს ჩვენს წითელ არმიას სამხედრო გაზებით. ჩვენში შეშიდან ქიმიკოსები დაამზადებენ იაფ და ლამაზ ხელოვნურ აბრეშუმს.

იაროსლავის რაიონში კეთდება შირის უდიდესი ქარხანა, რომელიც გააკეთებს სალტეებს—„ავტომობილების კალოშებს“, რაც ესაჭიროება საბჭოთა ავტომობილების ახალ უდიდეს არმიას.

ბოლოს, მთელს ურალზე აგუგუნდებიან სატკეო-ქიმიური ქარხნები, რომელნიც ბურბუშელიდან და ნაფოტებიდან დაამზადებენ ძმრისსიმჟავეს, სპირტს, წამლებს და ქაღალდს.

ასე ფართედ განვითარდება საბჭოთა ქიმია, რომელიც „ნაგავიდან“ და „სიბინძურიდან“ შექმნის ძვირფას პროდუქტებს.

ქიმიის საოცრებას საზღვარი არა აქვს: ის იყენებს დაფლეთილ ჩვარს, ჟანგიანს ლურსმანს და ბინძურს ნაფოტსაც კი სახალხო მეურნეობაში საჭირო პროდუქტების დასამზადებლად.

ამიტომაც უქიმიოდ შეუძლებელია მეურნეობის წინსვლა და ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული მრეწველობა.

აი, სწორედ ამიტომ აქვს ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობისათვის.

პ. ლ—ნი.

ტური ...
ვინ უკეთ მოა... 2032 სახელგამის სტამბა, სომხის ბაზარი, № 22. შეკვ. № 705. ტირაჟი 1500.